პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 210 (16031)

7 სექტემბერი შაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

355.000 ტონა ყურძნისათვის!

## სწრაფად, უდანაკარგოდ დავამთავროთ რთველი!



გუშინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა სოცშეჯიბრების პირობები „კომუნისტის" გარდამავალი წითელი დროშისა და ფასიანი საჩუქრის დაწესების შესახებ იმ ბრიგადის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ღვინის ქარხნისა და მევენახისათვის, რომლებიც რთველს უდანაკარგოდ, შემჭიდროებულ ვადებში ჩაატარებენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან მეტსა და მაღალხარისხოვან ყურძენს.

355.000 ტონა ყურძნისათვის ბრძოლა დაიწყო. გაზეთ „კომუნისტის" გარდამავალი წითელი დროშის მოპოვებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში ჩაება ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა, წარმოება და მევენახე. დღეს ვბეჭდავთ რამდენიმე წერილს იმის შესახებ თუ რა ვალდებულებებს კისრულობენ ამ საპატიო ჯილდოს მოპოვებისათვის.

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

## საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებისა და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებისა და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ".

ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების საერთო სისტემაში, აღნიშნულია დადგენილებაში, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტთა მომზადების საქმეში. ყოველწლიურად ტექნიკუმებსა და სასწავლებლებს ამთავრებს მილიონზე მეტი კაცი, რაც საშუალებას იძლევა ძირითადად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი სპეციალისტებზე. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებაში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა სოციალურ-ეკონომიური და კულტურული მშენებლობის დარგში, მოითხოვს საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფას, სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებას, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს დაავალეს უზრუნველყონ საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარება კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნილებების შესაბამისად, და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას, სასწავლო პროცესის სრულყოფას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სწავლებისა და აღზრდის ორგანულ შეხამებას.

პარტიულ ორგანოებს წინადადება ეძლევათ გააუმჯობესონ საშუალო სპეციალური სასწავლებლების პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, გააძლიერონ კონტროლი ხელმძღვანელი და მასწავლებელთა კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი, აამაღლონ პარტიული ორგანიზაციებისა და პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ დისციპლინათა სწავლების მდგომარეობისათვის, მოსწავლეთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის, მათი კომუნისტური მრწამსის, მაღალი ზნეობრივი და მორალური თვისებების ჩამოყალიბებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდილი ყოველმხრივ განვითარებული სპეციალისტების მომზადებისათვის.

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, აღნიშნულია დადგენილებაში, უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გააუმჯობესონ სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვა, აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი მათს გამოყენებაში, აამაღლონ საშუალო რგოლის სპეციალისტთა როლი წარმოებაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მონაწილეობით განიხილონ და გადაწყვიტონ ის საკითხები, რომ მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების გამგებლობაში მყოფი საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელობა თავმოყრილი იყოს უფრო ცოტა სამინისტროებისა და უწყებების ხელში, ამასთან გაითვალისწინონ აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებლების გადაცემა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გამგებლობიდან მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების უშუალო გამგებლობაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება ეძლევათ 1975-1977 წლებში სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით განახორციელონ საშუალო სპეციალური სასწავლებლების შემდგომი სპეციალიზაცია დარგობრივი პრინციპებით და ამასთან გაითვალისწინონ საჭირო პროპორცია სპეციალისტთა მომზადებაში.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეიქმნას საშუალო სპეციალური განათლების საბჭო, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები ქვეყანაში საშუალო სპეციალური განათლების განვითარების საკითხებზე. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებში, სამხარეო და საოლქო ცენტრებში იქმნება საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა დირექტორების საბჭოები.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან იქმნება სახელმწიფო ინსპექცია საშუალო სპეციალური სასწავლებლის ინსპექტირებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მონაწილეობით დაევალათ აგრეთვე განიხილონ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებთან (სახალხო განათლების სამინისტროებთან) საშუალო სპეციალური სასწავლებლების რესპუბლიკურ ინსპექციათა შექმნის საკითხი.

იმ მიზნით, რომ უფრო ფართოდ გამოიყენონ საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები სახალხო მეურნეობაში, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვრონ საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა ფუნქციები შესაბამის დარგებში და დაამტკიცონ იმ პროფესიათა და თანამდებობათა ნუსხები, რომელთა მიხედვით საჭიროა საშუალო სპეციალური განათლება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალა მოაწყონ უმაღლეს სასწავლებელთა საინჟინრო-პედაგოგიურ ფაკულტეტებზე ინჟინერ-პედაგოგების მომზადება საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის; გააფართოონ უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების ქსელი.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მასწავლებლები სამ თვემდე ვადით სტაჟირებისათვის გაგზავნონ შესაბამისი დარგის მოწინავე საწარმოებსა და ორგანიზაციებში. გათვალისწინებულია სამუშაოსაგან მოწყვეტით უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებზე, აგრეთვე საწარმოებსა და ორგანიზაციებში სტაჟირებისათვის გაგზავნილი საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებელთა მატერიალური უზრუნველყოფის პირობები. წესდება საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებელთა და ხელმძღვანელ მუშაკთა სისტემატური ატესტაცია, ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ, რომ კიდევ უფრო განვითარდეს და განმტკიცდეს საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო-საწარმოო ბაზა, აშენდეს ახალი და გაფართოვდეს მოქმედი სასწავლო კორპუსები, სახელოსნოები, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლები და სასადილოები.

მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად წინადადება მიეცა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა შეიქმნას სტაბილური მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები მოსწავლეთათვის და მეთოდიკური სახელმძღვანელოები მასწავლებლებისათვის; უფრო ფართოდ ჩააბას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების წამყვანი მასწავლებლები, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სპეციალისტები ამ სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნაში; პერიოდულად მოაწყოს კონკურსები საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა უზრუნველყონ, რომ კიდევ უფრო დაიხვეწოს საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისათვის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები, მომავალ სპეციალისტებს უფრო აქტიურად განუვითარონ დამოუკიდებელი ორგანიზატორული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ჩვევები, ჩააბან ისინი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, უზრუნველყონ კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის ფართო განვითარება, უფრო მეტად იზრუნონ მოსწავლეთა და სასწავლებლების მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების, საზოგადოებრივი კვებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა და სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად განამტკიცონ შემოქმედებითი ორგანიზაციების კავშირი ტექნიკუმებთან და სასწავლებლებთან, უფრო აქტიურად ჩააბან შემოქმედებითი მუშაკები საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა პატრიოტულ, ინტერნაციონალურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში, უფრო ფართოდ განავითარონ მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედება და ტექნიკური შემოქმედება.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გააუმჯობესონ სწავლების სალამოსა და დაუსწრებელი ფორმებით სპეციალისტთა მომზადების ხარისხი.

გათვალისწინებულია საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლე-სტიპენდიატებს მიეცეთ სტიპენდიები საწარმოო პრაქტიკის გავლის პერიოდში, თუ ისინი მუშებად მუშაობენ, წარმოებაში მიღებული ხელფასის მიუხედავად.

საშუალო სპეციალური სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებს უფლება ეძლევათ ნება დართონ კურსდამთავრებულებს (დღის განყოფილებათა გამოშვების 10 პროცენტამდე), რომლებსაც ფრიადი და კარგი შეფასებანი აქვთ ყველა საგანში და რომლებმაც დაიცვეს სადიპლომო პროექტი ან ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები ასეთივე შეფასებებით, შევიდნენ დადგენილი წესით დღის უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი სპეციალობის მიხედვით უშუალოდ საშუალო სპეციალური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ მოაწყონ მათი სწავლა, როგორც წესი, ცალკეულ ჯგუფებსა და შემცირებულ ვადებში (სულ ბევრი 1 წლით სწავლების ვადის შემცირებით).

სამინისტროსთან არსებული უმაღლესი სკოლის პრობლემათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიას დაევალათ აწარმოონ საშუალო სპეციალური განათლების პრობლემების დამუშავება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ საშუალო სპეციალური განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფა, სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ამოცანაა, და გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები, სასწავლებელთა კოლექტივები უზრუნველყოფენ იმ ამოცანათა წარმატებით შესრულებას, რომლებიც გამომდინარეობენ საშუალო სპეციალური განათლების განვითარების დარგში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

## „კომუნისტის" ჯილდოს მოვიპოვებთ!

გაზეთ „კომუნისტის" გუშინდელ ნომერში წავიკითხე, რომ დაწესდა გარდამავალი წითელი დროშა, ვიმპელი და ფასიანი საჩუქრები მევენახეობის იმ ბრიგადების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ღვინის ქარხნების დასაჯილდოებლად, რომლებიც მოკლე დროში უდანაკარგოდ მოკრეფენ და გადაამუშავებენ მეტ და მაღალხარისხოვან ყურძენს.

ეს კარგი წამოწყება ჩვენმა მევენახეებმა მოიწონეს და ჩაებნენ გაზეთ „კომუნისტის" გარდამავალი წითელი დროშის მოპოვებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჩვენი ახალი ვალდებულებაა მიმდინარე წელს სახელმწიფო მარანში მივიტანოთ 4.000 ტონა ყურძენი. გეგმა კი 3.682 ტონას ითვალისწინებს. ჰექტარზე მივიღოთ 80 ცენტნერი ყურძენი.

**ვ. უტიაშვილი,**
გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძენი

ჩვენი ბრიგადის ვენახები ივრისპირეთშია გაშენებული. ზვრების მოვლა ჩვენმა მევენახეებმა ჩინებულად იციან. მთელ წელიწადს ვაზს დიდი გულმოდგინებით ვუვლიდით, ნიადაგი ყოველთვის ფხვიერ მდგომარეობაში გვქონდა, მცენარისათვის არ მოგვიკლია წამლობა, თავის დროზე ვატარებდით მწვანე ოპერაციებს. შედეგიც საუცხოოა. ავ თვალს არ ენახვება, ისეთი ვენახები გვაქვს. მართლაც უხვ მოსავალს ველით.

გაზეთ „კომუნისტის" გარდამავალი წითელი დროშისათვის გაჩაღებულ სოცშეჯიბრებაში ვებმებით და ვკისრულობთ რთველი დავამთავროთ ორ კვირაში, სახელმწიფო მარანში მივიტანოთ მაღალხარისხოვანი ყურძენი. ჰექტარზე მივიღებთ 100 ცენტნერზე მეტს. შეჯიბრებაში ვიწვევ გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის ბრიგადას, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი მ. მექვევრიშვილი ხელმძღვანელობს.

**ა. ბოქოლიშვილი,**
სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ნელს ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებმა გუშაგალდებულებით 2.000 ტონა ყურძენი უნდა მოკრიფონ. მიუხედავად ცუდი ამინდებისა, აქ რთველი წარმატებით მიმდინარეობს.

მეურნეობაში დასახმარებლად მოვიდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები.

სურათზე: მარცხნიდან — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი მ. იოსებაშვილი და მეშვიდე აგროგანყოფილების მმართველი ჯ. დვალი ყურძნის კრეფის დროს.

ზ. გოგოხიას ფოტო.

# გულითადი შეხვედრა გმირ ქალაქში

## ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ნოვოროსიისკში გაემგზავრა

6 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გაემგზავრა გმირ ქალაქ ნოვოროსიისკში.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გააცილეს ამხანაგებმა ვ. ვ. გრიშინმა, ა. ა. გრომიკომ, თ. დ. კულაკოვმა, კ. ტ. მაზუროვმა, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, პ. ნ. დემიჩევმა, გ. ვ. რომანოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, დ. თ. უსტინოვმა, ვ. ი. დოლგიხმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, კ. ფ. კატუშევმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები კ. ვ. რუსაკოვი, კ. უ. ჩერნენკო, ნ. ა. შჩოლოკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები ს. კ. ცვიგუნი, ვ. თ. შაური, სამოქალაქო ავიაციის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ნ. კატრიჩი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის პირველი მოადგილე მ. ი. კუზმინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი და სხვები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები გ. ე. ცუკანოვი, ა. მ. ალექსანდროვი, ვ. ა. გოლიკოვი. (საქდესი).

ნოვოროსიისკში გზად მიმავალი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ცოტა ხნით შეჩერდა ანაპის აეროპორტში. აქ მას გულთბილად შეხვდნენ სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ფ. მედუნოვი, სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე გ. პ. რაზუმოვსკი, პარტიის ანაპის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ს. იშჩენკო, ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მშრომელთა წარმომადგენლები და კურორტ ანაპის დამსვენებლები. (საქდესი).

## ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ნოვოროსიისკში ჩავიდა

6 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გმირ ქალაქ ნოვოროსიისკში ჩავიდა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ჩავიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები გ. ე. ცუკანოვი, ა. მ. ალექსანდროვი, ვ. ა. გოლიკოვი.

„მცირე მიწაზე", ნოვოროსიისკის სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებსა და მოედნებზე გაიმართა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილი და გულითადი შეხვედრები გმირი ქალაქის მშრომელებთან, ყუბანელ სოფლის მშრომელებთან და მრავალრიცხოვან სტუმრებთან.

აეროპორტში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ფ. მედუნოვი, სკკპ ნოვოროსიისკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ნ. პოლიაკოვი, გმირი ქალაქების დელეგაციები: მოსკოვისა — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის ლ. ი. გრეკოვის მეთაურობით, ლენინგრადისა — სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ბ. ი. არისტოვის მეთაურობით, კიევისა — პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. დ. გოლოვკოს მეთაურობით, სევასტოპოლისა — პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მაკარენკოს მეთაურობით, ქერჩისა — პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ს. ა. ჩისტოვის მეთაურობით, მინსკისა — პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის ა. ა. რეუტის მეთაურობით, დელეგაციები: საქართველოს სს რესპუბლიკისა — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. ს. ძოწენიძის მეთაურობით, სტავროპოლის მხარისა — სკკპ სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით, როსტოვის ოლქისა — სკკპ საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ი. ა. ბონდარენკოს მეთაურობით, ყირიმის ოლქისა — პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ნ. კ. კირიჩენკოს მეთაურობით, ქალაქ სმოლენსკისა — პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. მ. მოისეევის მეთაურობით; კრასნოდარის მხარისა და ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ლეონიდ ილიას-ძეს — თავიანთ ფრონტელ ამხანაგს, ომის წლებში მე-18 სადესანტო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსს მეტისმეტად გულთბილად და გულითადად შეხვდნენ ამ არმიის ვეტერანები, კავკასიისათვის, ნოვოროსიისკისა და ქერჩისათვის ბრძოლების სხვა მონაწილენი. ისინი ამ შეხვედრაზე ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ.

„მცირე მიწა"... უკვდავი გმირული ფურცელი ჩაწერა მან დიდი სამამულო ომის ისტორიაში, ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. აქ მისხაკოს რაიონში ყოველ სანაპირო ლოდს, ყოველ ქვას ახსოვს ამ მიწის დამცველთა — საბჭოთა არმიის მეომართა და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა უკვდავი გმირობა და ვაჟკაცობა.

1943 წლის 4 თებერვალს აქ, ნოვოროსიისკის სამხრეთით, გადასხდა დესანტი. გააფთრებულ ბრძოლაში ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა მტერს ხელიდან გამოგლიჯეს 30 კვადრატული კილომეტრი ფართობის პლაცდარმი, რომელსაც „მცირე მიწა" უწოდეს. 225 დღის მანძილზე გმირულად იბრძოდნენ აქ პლაცდარმის დამცველები. ბევრჯერ ცდილობდნენ ფაშისტებმა ზღვაში ჩაეხრჩოთ „მცირემიწელები", ყოველდღე დაუზოგავად უშენდნენ ცეცხლსა და ტყვიას: თავდაცვის თვითეულ მონაწილეზე მტრის 1250 კილოგრამი ლითონი მოვიდა! მაგრამ გმირებმა გაუძლეს, და 1943 წლის 16 სექტემბერს შეტევაზე გადმოსულ საბჭოთა ჯარებთან ერთად მთლიანად გაათავისუფლეს ნოვოროსიისკი და განაგრძეს გზა მტრის შესამუსრად.

„მცირე მიწაზე" გმირული ბრძოლის დღეებში მის დამცველთა რიგებში იყო და მათთან ერთად იზიარებდა ფრონტული ცხოვრების ყველა გაჭირვებას მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ლ. ი. ბრეჟნევი. აქ, უშუალოდ მოწინავე ხაზზე, იგი ჯარისკაცებსა და ოფიცრებს გადასცემდა პარტიულ ბილეთებს, საბრძოლო ჯილდოებს, მათთან ერთად იგერიებდა მტრის იერიშებს.

და აი ახლა, 31 წლის შემდეგ, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი და მისი თანამებრძოლები, მე-18 არმიის ვეტერანები, „მცირე მიწის" დამცველები, უკრაინის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილენი, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს შავი ზღვის სანაპიროს ამ პატარა მიწაზე, რომელმაც ისინი სამუდამოდ შეაკავშირა ფრონტული ძმობით.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, მე-18 არმიისა და შავი ზღვის ფლოტის ვეტერანები მივიდნენ „მცირე მიწის" დამცველთა პატივსაცემად პლაცდარმის ყოფილ მარჯვენა ფრთაზე აღმართულ სტელასთან. ისინი კვლავ მიაბიჯებენ „მცირე მიწაზე", რომელმაც ესოდენ იცვალა სახე მშვიდობიან წლებში. მაგრამ აქ ისე ნაცნობია თვითეული გზა და ბილიკი, რომ მღელვარებას ვერ ფარავენ: მეხსიერებაში ამოტივტივდა ყოველივე აქ განცდილი. მათ აღელვებს ისიც, რომ დღეს, ოცდაათ წელზე მეტი ხნის შემდეგ, ამ ბრძოლის მონაწილეთა გმირობა ცოცხლობს ხალხის ხსოვნაში.

ლეგენდარულ თავდაცვას მოგვაგონებენ მონუმენტები და სტელები, სანაპიროზე ჩამწკრივებული ქვემეხები და ტანკები — იმ ქარცეცხლიანი წლების უტყვი მოწმენი, ძველი ჩანგრეული ტრანშეები.

ლეონიდ ილიას-ძე და მისი თანამებრძოლები დიდხანს დგანან სტელასთან, ჩადიან უბის ნაპირთან, ხმადაბლა საუბრობენ. მათ ბევრი რამ აქვთ მოსაგონარი — ასეთი რამ ადამიანს არასდროს არ ავიწყდება.

საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც თავდაცვის აღსანიშნავად „მცირე მიწა" უწოდეს, არის სარდაფი, სადაც ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ მოთავსებული იყო ორგზის წითელდროშოვანი შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითი ჯარის 83-ე ბრიგადის შტაბი. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი და შტაბის ყოფილი ოფიცრები ჩადიან ნაცნობი საფეხურებით. აქ, პაწაწინა ნაკვეთურში, სადაც ახლა სათუთადაა დაცული იმჟამინდელი მოწყობილობა, ისინი ოდესღაც ჭრაქის შუქზე რუკაზე თავდახრილნი ამუშავებდნენ ოპერაციის გეგმებს, აქედან ხელმძღვანელობდნენ ბრძოლას, აქ არმიის პოლიტგანყოფილების უფროსს არაერთგზის უსაუბრია „მცირე მიწის" გმირებთან.

უბის ნაპირას, იქ, სადაც დესანტი გადმოსხეს, გმირობის სახსოვრად შეიქმნა მემორიალი. მარმარილოს ფილებზე აღბეჭდილია გმირული ბრძოლების ისტორიის ყოველი დღე, რომელთა დროს პლაცდარმის დამცველებმა უკუაგდეს ჰიტლერელთა შემოტევა 1943 წლის აპრილში. აქ მემორიალთან, ლეონიდ ილიას-ძემ დარგო ხე იმათი ხსოვნის აღსანიშნავად, ვინც სიცოცხლე შესწირა ჩვენს დიად გამარჯვებას.

გმირთა ვაჟკაცობაზე მეტყველებს პლაცდარმის მარცხენა ფრთაზე მდებარე ველი, რომელსაც იმ დღეებში „სიკვდილის ველი" უწოდეს. აქ დღედაღამ ქუხდა ბრძოლები, აქ ქვებიც კი იწვოდა და აქვე იყო ჭა — „სიცოცხლის ჭა", რომელიც პლაცდარმის დამცველებს სასმელი წყლით ამარაგებდა.

დღეს სრული საფუძველი გვაქვს ამ ველს ვუწოდოთ „მამაცობის ველი". აქ იბადებოდა მამაცობა და ვაჟკაცობა. იჭედებოდა გამბედაობა, რომელიც ვერც მტრის ბომბებმა, ვერც ტყვიებმა ვერ გატეხეს, და როგორც გმირობის მოსაგონარი დგას აქ მონუმენტი „წინა ხაზი".

„მცირე მიწის" ნახვის შემდეგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, ნოვოროსიისკში ჩამოსული სტუმრები გაემართნენ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. ათიათასობით მცხოვრები შეიკრიბა ამ დღეს ქუჩებსა და მოედნებზე. მქუხარე ტაშით, გულთბილი სალმითა და ყვავილებით ეგებებოდნენ ისინი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

ქალაქის მუზეუმში ლეონიდ ილიას-ძემ დაათვალიერა ექსპოზიცია, რომელიც ასახავს „მცირე მიწის" ლეგენდარულ ბრძოლებს, ნოვოროსიისკისა და კავკასიისათვის ბრძოლებს, ჯარისკაცების, მატროსების, მფრინავების გმირობას, მე-18 სადესანტო არმიის საბრძოლო გზას. და აქაც მოეწყო „მცირემიწელი" ვეტერანებისა და მუზეუმის თანამშრომელთა გულითადი შეხვედრა.

ცემესის უბეში მაღალ კვარცხლბეკზე აღმართულა ბრინჯაოს ფიგურა — მონუმენტი „უცნობი მატროსი", სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი შეჩერდა მონუმენტის წინ და წუთიერი დუმილით პატივი სცა იმ გულადი მეზღვაურების ხსოვნას, რომლებიც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში დაიღუპნენ.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მივიდა „გმირთა ხეივანში". აქ დაკრძალული არიან ნოვოროსიისკისათვის ბრძოლებში დაღუპული ოფიცრები და ჯარისკაცები. აქ მათი უკვდავების სიმბოლოდ მარადიული ცეცხლი ანთია. ლეონიდ ილიას-ძემ მარადიულ ცეცხლთან ყვავილები მიიტანა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილმა შეხვედრებმა წარსული ომის ვეტერანებთან, გმირი ქალაქის მშრომელებთან კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ახლანდელ და მომავალ თაობებს ახსოვთ და ეხსომებათ, რა უკვდავი გმირობა ჩაიდინა საბჭოთა ხალხმა, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შემუსრა ჰიტლერული ფაშიზმი, დაიცვა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამ შეხვედრებმა ცხადყვეს საბჭოთა ადამიანების გადაწყვეტილება — გაუფრთხილდნენ და ამრავლონ საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები, პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის წინამძღოლობით იარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებების გზით.

(საქდესის სპეც. კორ.).

## მოლაპარაკება განახლდება

საბჭოთა კავშირის მთავრობა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შეთანხმდნენ, რომ 1974 წლის 18 სექტემბერს ქალაქ ჟენევაში განაახლონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციების მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

## რთველი კახეთში

□

### ჰექტარზე კრეფენ 65 ცენტნერ ყურძენს ნაცვლად 55 ცენტნერისა

□

სიღნაღი, 6 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). გუშინ ხირსის საბჭოთა მეურნეობაში რთველი დაიწყო.

— ჩვენ ვაპირებთ სახელმწიფოს მივყიდოთ 2 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, გეგმით გათვალისწინებული 1.900 ტონის ნაცვლად, — ამბობს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. დავითაშვილი. — პირველ აგროგანყოფილებაში, რომელსაც აგრონომი მ. გურაშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე კრეფენ დავალებაზე 5 ცენტნერით მეტ ყურძენს შ. ზურაშვილის, ა. შალვაშვილის, ი. მჭედლიშვილის ბრიგადები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერისა ჰექტარზე იღებენ 65 ცენტნერ ყურძენს, ხოლო ცალკეულ ნაკვეთებზე ვარაუდობენ მოკრიფონ ჰექტარზე სულ ცოტა 100 ცენტნერი. მაღალია ყურძნის შაქრიანობა — 22-23 პროცენტი.

გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულია მეურნეობაში რთველი დამთავრდეს 10 დღეში. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ ყურძნის კრეფის დღიურ ნორმებს თ. ბენაშვილი, ლ. ჩოხელი, ლ. ჯალიაშვილი, მ. ანდრუსენკო, ა. კისლიაკოვა.

მალე რთველი გაჩაღდება რაიონის სხვა მეურნეობებშიც.

ყურძნის კრეფაში სოფლის მშრომელებს დაეხმარებიან საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები.

სიღნაღელმა მევენახეებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 20 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. გეგმით გათვალისწინებული 19.080 ტონისა და ვალდებულებით გათვალისწინებული 19.490 ტონის ნაცვლად.

## პარტიული ცხოვრება

# ვზრდიდეთ და ვაწრთობდეთ ახალგაზრდა ცვლას

### პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმზე

ჩვენი პარტიის XXIV ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში ხაზი გაუსვა კომკავშირის დიდ როლს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში. ახალგაზრდობა უფროსი თაობის ცვლაა, პარტიის საიმედო თანაშემწეა და მას შესწევს ძალა წარმატებით იბრძოლოს მაღალი იდეალებისათვის. ამ ჭეშმარიტების კიდევ ერთი დადასტურება იყო საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც გასული წლის ივნისში გაიმართა.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონს სამართლიანად უწოდებენ ახალგაზრდულ, სტუდენტურ რაიონს. ამ რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები თავიანთ რიგებში ითვლიან 52 ათასზე მეტ ჭაბუკსა და ქალიშვილს, რომელთა თითქმის ორი მესამედი სტუდენტია.

რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში იღვწის რვა ათასზე მეტი კომკავშირელი. ბევრი მათგანი ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდშია, იჩენს ინიციატივას წარმოების აღმავლობისა და სრულყოფისათვის.

უკანასკნელი ორი ზაფხულის პერიოდში რაიონის სკოლების უფროსკლასელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 83 ტონა ჩაის ფოთოლი. ქება დაიმსახურეს რაიონის სტუდენტი ახალგაზრდობის სამშენებლო რაზმებმა მესამე შრომით სემესტრში.

ყოველივე ამის შესახებ იყო ლაპარაკი პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმზე, რომელმაც განიხილა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი.

მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ჩიკვაიძემ და კამათის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობის შრომას, სწავლასა და აღზრდას.

აქ სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას ემსახურება სხვადასხვა ფორმა და მეთოდი: კონკურსები საუკეთესო აკადემიური ჯგუფების, კურსების, ფაკულტეტების გამოსავლინებლად, ფრიადოსანთა შეკრებების მოწყობა, გამოიკვეთა თვითმმართველობის ისეთი ფორმები, როგორიც არის სტუდენტური დეკანატები და საბჭოები, სასწავლო-აღმზრდელობითი კომისიები. საგრძნობია სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკის შესამჩნევი გაუმჯობესება. მთელ რიგ ინსტიტუტებში (პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარული, პუშკინის სახელობის პედაგოგიური) დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი და ტექნიკური შემოქმედების განვითარებას.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად 1973-1974 სასწავლო წლის ბოლოს 2,7 პროცენტით ამაღლდა სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლები წინა სასწავლო წელთან შედარებით. გაიზარდა ფრიადოსან და ოთხოსან სტუდენტთა რიცხვი. ახლა რაიონის უმაღლეს სასწავლებლებში 5 ათასამდე წარჩინებული სტუდენტია.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ცხოვრებაში.

პლენუმზე მოიყვანეს მაგალითები მთელი რიგი პარტიული კოლექტივებისა, რომლებიც ყოველდღიურად, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობენ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, სახავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს მათი საქმიანობის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვისათვის.

მაგრამ კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა მზარდი მასშტაბები და სირთულე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დაჩქარება, იდეოლოგიური ბრძოლის თანამედროვე პირობები მოითხოვენ ახალგაზრდობასთან მუშაობის დონის მნიშვნელოვან ამაღლებას, ეს წითელ ზოლად გასდევდა როგორც პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებას, ისე კამათის მონაწილეთა საქმიან, პრინციპულ სჯა-ბაასს. ორატორთა ძირითადი ყურადღება მიმართული იყო ახალგაზრდების აღზრდისა და გამოწრთობის საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებზე, ნაკლოვანებებზე, გადაუწყვეტელ საკითხებზე.

სამწუხაროდ, როგორც პლენუმზე აღინიშნა, რაიონის მთელი რიგი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები ფეხს ვერ უწყობენ ცხოვრებას, სუსტად წყვეტენ ახალგაზრდობის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს. მაგალითად, დიდხანს ფაქტიურად უმოქმედოდ იყო თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე ამ რამდენიმე თვის წინათ იმსჯელა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე კი პრინციპულად აღინიშნა, რომ ინსტიტუტის პარტიულმა ბიურომ ვერ უზრუნველყო სწორი პარტიული ხელმძღვანელობა ამ კომკავშირული ორგანიზაციისადმი.

შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ რაიონის უმაღლესი სასწავლებლების მარტო დღის განყოფილებაზე 2.761 აკადემიურად ჩამორჩენილი სტუდენტია. იმავე კურსზე დატოვებულ იქნა 97, ხოლო აკადემიური ჩამორჩენილობისათვის გაირიცხა 128 სტუდენტი. სახელმწიფო საგამოცდო კომისიებმა 1973-1974 სასწავლო წელს არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს 503 დიპლომანტის თეორიული მომზადება.

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთა სრულყოფა, აქტიური ზეგავლენა ამ პროცესებზე იყო და რჩება უმაღლესი სკოლის კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხთა საკითხად.

პლენუმის მუშაობაში დიდი ადგილი დაიკავა ზნეობრივი აღზრდის საკითხებმა.

დიდი გულისტკივილით იყო ნათქვამი აქ ერთ-ერთი მოკამათის შემდეგი სიტყვები:

— რამდენადაც სასიხარულოა ახალგაზრდობის წარმატებები, იმდენად დამაფიქრებელი და ორმაგად სამწუხაროა ნეგატიური ხასიათის მოვლენები, რომლებსაც არც თუ იშვიათად აქვს ადგილი ახალი თაობის ცხოვრებაში.

შარშან რაიონის სტუდენტთა მიერ ჩადენილ იქნა სისხლის სამართლის რამდენიმე დანაშაული, გამოსაფხიზლებელში მოხვდნენ სტუდენტები, ახალგაზრდები შემჩნეული იყვნენ ნარკოტიკების ხმარებაში, ასამდე სტუდენტი კი სხვადასხვა მიზეზით გასახლებულ იქნა საერთო საცხოვრებლიდან. ამ მხრივ მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში.

შეცდომა იქნებოდა ეს ნეგატიური მოვლენები მარტო კომკავშირული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის მიგვეწერა. ყოველი ასეთი ფაქტის უპირველესი მიზეზია ოჯახში, სკოლასა და კოლექტივში აღმზრდელობით პროცესში დაშვებული შეცდომები. ახალგაზრდობის აღზრდის ინტერესები მოითხოვს მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და დასვენების გაუმჯობესებას.

პარტიის რაიკომის პლენუმზე შეეხნენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესების, მომავალ ახალგაზრდა სპეციალისტთა მარქსისტულ-ლენინური განათლების, მათი საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების, მოქალაქეობრივი შეგნებულობის გრძნობის განვითარების, კომკავშირული კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს.

სწორად წარმართონ ახალგაზრდობის შემოქმედებითი აზრი და მძლავრი ენერგია, მოფიქრებულად და მიზანსწრაფულად უხელმძღვანელონ კომკავშირულ ორგანიზაციებს, ამაღლონ მათი როლი სწავლაში, შრომასა და სულიერ ცხოვრებაში, გააერთიანონ ამ მიზნით ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მეცადინეობა — ასეთია პარტიის რაიკომის, პირველადი პარტორგანიზაციების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე.

**გ. ზუკაკიშვილი.**

### მშენებელთა მოწინავე ბრიგადა

ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი შოთა მოდებაძე ხელმძღვანელობს, ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ააშენა რუსთავში. ამ კოლექტივმა საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა მუშაობის ხაიჯარო მეთოდი. ბრიგადა სახლს აშენებს ეგრეთწოდებული „ნულოვანი ნიშნულიდან“, ანუ ასრულებს ყველა სამუშაოს — საძირკვლის ქვაბულის თხრით დაწყებული და მოპირკეთებით დამთავრებული. 500 სახლი ააშენეს მშენებლებმა შოთა მოდებაძის მეთაურობით. სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი შოთა მოდებაძე (მარჯვნიდან მეოთხე) თავისი ბრიგადის წევრებთან ერთად.

ზ. კრიმანოვსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# სოფლის მასწავლებელი

### გვესაუბრება რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე, პროფესორი კ. მაჭარაშვილი.

**განსაკუთრებული** ყურადღება ეთმობა პედაგოგთა მაღალკვალიფიციური კადრებით საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაკომპლექტებას. რესპუბლიკის მოსწავლეთა ნახევარზე მეტი დღეს სოფლად სწავლობს.

ახალ სასწავლო წელს სკოლაში მუშაობა დაიწყო პედაგოგიური ინსტიტუტებისა და თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა 1.600 ახალგაზრდა პედაგოგმა. ისინი შეემატნენ რესპუბლიკის მასწავლებელთა 76-ათასიან რაზმს.

პარტიამ და მთავრობამ გრანდიოზული ამოცანები დასახეს სახალხო განათლების შემდგომი განვითარების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის სრულყოფისათვის. ეს მასწავლებლებისაგან მოითხოვს აამაღლონ სწავლების, ახალგაზრდა თაობაში აღმზრდელობითი მუშაობის დონე, სახელმწიფო, რომელიც გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს მასწავლებლებს, დღენიადაგ ზრუნავს მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

დიდი ყურადღება ეთმობა სოფლის მასწავლებლებს. როგორც ცნობილია, მათი ხელფასი გათანაბრებულია ქალაქელი კოლეგების ხელფასთან. დღენიადაგ უმჯობესდება მათი მატერიალური კეთილდღეობა. სოფლის მასწავლებლები განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობენ. მაგალითად, მათ აქვთ უფასო ბინისა და კომუნალური მომსახურების უფლება. სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური სკოლების, სკოლა-ინტერნატების მუშაკებს ეძლევათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები.

ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებმაც უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური სასწავლებლები დაამთავრეს და სამუშაოდ სოფლად დაინიშნენ, ეძლევათ სესხი ოჯახის მოსაწყობად. უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მამაკაცი მასწავლებლები ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თავისუფლდებიან სოფლის სკოლაში მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე.

1975 წლის იანვრიდან რესპუბლიკაში იწყება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაცია. იგი შემოღებულია მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაციის, პედაგოგიური ოსტატობისა და შემოქმედებითი ინიციატივის მუდმივი ზრდის სტიმულირებისათვის. იმ მასწავლებლებს, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიჩენენ თავს ატესტაციის შედეგების მიხედვით, მიენიჭებათ „უფროსი მასწავლებლის“ და „მეთოდისტი მასწავლებლის“ წოდება, მასწავლებელთა ატესტაცია, ახალ წოდებათა შემოღება პედაგოგთა კოლექტივისათვის იქნება ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობის სტიმული და უზრუნველყოფს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებას.

ამასთან, განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, სოფლად სასკოლო განათლების ორგანიზაციას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. სოფლის სკოლების ნაწილის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ყველა სკოლა როდია დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პედაგოგებით.

ამბროლაურის, ონის, მესტიის, ლენტეხის, თერჯოლის, ცაგერისა და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა რაიონებში ჯერ კიდევ არის რუსული და უცხო ენების, მათემატიკის, ფიზიკის მასწავლებელთა კადრების ნაკლებობა.

ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ საქართველოში მთიანი რელიეფის, ცალკეული ძნელად მისადგომი რაიონების გამო ჯერ კიდევ არის მცირე კომპლექტური სკოლების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ასეთ სკოლებში ახალგაზრდა სპეციალისტებს მთლიანად ვერ ტვირთავენ. მაგრამ გამოსავალი არის: როგორც ჩანს, უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა მოამზადონ ორი პროფილის პედაგოგები. მაგალითად, ისტორიკოს-ფილოლოგები, ფიზიკოს-მათემატიკოსები, ქიმიკოს-ბიოლოგები და ა. შ. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სოფლის სკოლებში განიცდიან რუსული ენის მასწავლებელთა მწვავე ნაკლებობას. და ეს მაშინ, როცა ამ საგნის სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სპეციალური დადგენილება მიიღეს ამ საკითხზე. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების გაძლიერების გარდა საჭიროა მნიშვნელოვნად გაიზარდოს სტუდენტთა კონტინგენტი თბილისის უნივერსიტეტისა და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე.

იმის გამო, რომ არ ჰყავთ პედაგოგები, მთელ რიგ სოფლის სკოლებში რამდენიმე წელია არ ასწავლიან უცხო ენებს. ამავე დროს თბილისში და რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქში ჭარბად არიან უცხო ენების მასწავლებლები. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ უახლოეს წლებში პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების უცხო ენების ფაკულტეტებზე სტუდენტთა დიდი უმრავლესობა მიგვეღო სოფლებიდან ჩამოტანილი ლიმიტით.

და ბოლოს, სოფლად პედაგოგთა კადრების შენარჩუნებისა და მათი დენადობის ლიკვიდაციისათვის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა მეტი უნდა იზრუნონ იმისათვის, რათა ახალგაზრდა სპეციალისტებს შეუქმნან საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. ისინი ვალდებული არიან განუხრელად მისცენ მასწავლებლებს შეღავათები და უპირატესობანი, რომლებიც გათვალისწინებულია სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის მოქმედი კანონმდებლობითა და „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით,

# ვინ უნდა იყოს გამარჯვებული?

### ზოგი რამ სოციალისტურ შეჯიბრებაში ფორმალიზმის შესახებ

თანამედროვე პირობებში განუზომლად ამაღლდა სოციალისტური შეჯიბრების როლი და მნიშვნელობა. იგი ეკონომიკის განვითარებაზე ზეგავლენის მძლავრ ფაქტორად გადაიქცა.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მატერიალურ-ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ეკონომიურად დასაბუთებულ ვალდებულებათა შემუშავების მიზნით ქალაქ თბილისში, აგრეთვე მის რაიონებში შექმნილია სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომიტეტები, რომლებიც რეგულარულად განაზოგადებენ საწარმო-დაწესებულებებში შრომითი მეტოქეობის მიმდინარეობას, ახორციელებენ მისი საჯაროობის, ეფექტიანობის, ქმედითობის ამაღლებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

ამ კომისიების მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო. შრომითი კოლექტივების მიერ ნაკისრი ვალდებულებანი უფრო კონკრეტული, მამობილიზებელი გახდა. მათში აისახა არა მარტო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები, არამედ მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ-კულტურული პირობების გაუმჯობესებისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხებიც.

ქალაქის საწარმოებში კომისიები გარკვეულ მუშაობას ეწევიან გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებათა აღებისა და არსებული რეზერვების სრულად გამოყენებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. თვითეულ საწარმოში შედგენილია შეჯიბრების მიმდინარეობის შემოწმების კითხვარი ვალდებულებათა კონკრეტულობის, დაძაბულობისა და მიზანსწრაფულობის შესამოწმებლად. მუშავდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ეკონომიური პროგნოზირების სპეციალური მეთოდიკა, რაც საწარმოთა მუშაობაში ე. წ. შემთხვევითობის ფაქტორის მინიმუმამდე დაყვანისა და სამეურნეო საქმიანობაში მოსალოდნელი გარღვევების თავიდან ასაცილებელი ზომების დროულად მიღების შესაძლებლობას იძლევა.

ამასთან ერთად, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასა და მისდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

უწინარეს ყოვლისა, მუშების, პროფკავშირული აქტივისა და სპეციალისტთა ძალებით უნდა დაზუსტდეს და სრულყოფილ იქნეს გამარჯვებულთა გამოვლინების სისტემა, ჩამოყალიბდეს სამეურნეო მიღწევების განსაზღვრის ზუსტი მეთოდიკა. მოწინავედ ხალხის თვალში ითვლება არა მარტო ის, ვინც სხვაზე მეტი გააკეთა; ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მომუშავის მორალური თვისებებიც.

რაც უფრო აქტიურად ჩააბამთ მშრომელთა ფართო მასებს შეჯიბრების შედეგების განხილვასა და გამარჯვებულის გამოვლინებაში, მით უფრო მეტი გარანტიაა, რომ გაიმარჯვებს ნამდვილად ბეჯითი და დაჯილდოვდება ღირსეული.

ყოველი ჯილდო, წახალისება — დამსახურებისამებრ, — აი ერთადერთი სწორი პრინციპი, რომლითაც განუხრელად უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

ნაკლებად ხელგაშლილნი უნდა ვიყოთ ხოტბაში, ვერიდოთ რადიოტელეგადაცემებში თუ პრესის ფურცლებზე ცალკეული მომუშავის ან საწარმოს არც თუ ისე დიდი მიღწევების მომაბეზრებელ განმეორებას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იოლი ვალდებულების აღება და, მაშასადამე, მოწინავეთა შორის ადვილად გასვლა შესაძლებელია იქ, სადაც შემუშავებული არ არის დაგეგმვის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები, დარღვეულია კავშირი შეჯიბრებასა და დაგეგმვას შორის.

შედეგების შეჯამებისას დებულებით დადგენილი კრიტერიუმების გარდა საჭიროა გაანალიზდეს, თუ რამდენად დაძაბულია გეგმები, როგორია წარმოების ზრდის ტემპები, პროდუქციის მოცულობის მატებაში შრომის ნაყოფიერების ხვედრითი წონა, რა კეთდება ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის, რენტაბელობისათვის და სხვ.

აი ის მაჩვენებლები, რომლებიც აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობაზე მსჯელობისას.

გააზრებულ მიდგომას მოითხოვს სხვადასხვა თაოსნობა. რა თქმა უნდა, ყოველმხრივი მხარდაჭერის ღირსია ინიციატივა, რომელიც მიმართულია დავალებათა ვადამდე, გადამეტებით შესრულებისაკენ. მაგრამ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი, ოღონდ კონსერვატორის სახელი არ გაუვარდეს, საჭირო კრიტიკული ანალიზის გარეშე ჩაეჭიდება ხოლმე ყოველ თაოსნობას. საგულისხმო კია ფართო მასების აზრი ამ საკითხზე. „თითქმის ყოველთვე, მე და ჩემს ამხანაგებს გვირჩევენ მხარი დავუჭიროთ ამა თუ იმ თაოსნობას მათი არსისა და ჩვენი საწარმოს სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. უმჯობესია დამეხმარონ სამუშაო ადგილის ჩემი გეგმის მიხედვით მოწყობაში, შეუფერხებლად მომამარაგონ საჭირო იარაღებითა და მასალებით, და შრომის ნაყოფიერება ორჯერ გადიდდება“, — წერს ერთ-ერთი მუშა.

ნამდვილად სწორი აზრია! საჭირო თაოსნობათა არსენალიდან ამორჩეულ იქნას მხოლოდ ის, რაც ნამდვილად დაეხმარება კოლექტივს წარმოების ეფექტურობის ამაღლებაში.

შეჯიბრების შედეგების შეჯამებასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, ეს მხოლოდ ტექნიკური ოპერაცია როდია. ფართოდ გავრცელებული შეჯამების ბალური სისტემის მიხედვით, როცა ეკონომიკის სხვადასხვა დარგში მოპოვებული წარმატებანი თითქმის ერთნაირად ფასდება, შესაძლოა ქულებით გამარჯვებული გამოვიდეს საწარმო ან რაიონი, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს შედარებით იოლ უბნებზე და ძირითადი საწარმოო პროგრამის შესრულებაში ჩამორჩნენ. ეს კი მაშინ მოხდება, თუ ღრმა ანალიზს არ გავუკეთებთ მაჩვენებლებს, არ გავიხედავთ ციფრული ინფორმაციის მიღმა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკებისა და სპეციალისტების შეჯიბრებაში ჩაბმას.

დროა ქალაქში შეიქმნას სპეციალისტთა საინიციატივო ჯგუფები ქალაქის ეკონომიკის მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა მოსაწყობად, ორგანიზებულ იქნას შეჯიბრება ამ დარგში უკეთესი პროექტის შესაქმნელად. დაე სპეციალისტმა მთელი თავისი ცოდნა მოახმაროს არა წერილებზე მუშაობას და ცნობების შედგენას, არამედ რეალური ტექნიკურ-ეკონომიური საკითხების გადაჭრას.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ უნდა მოიცვას ყველა მუშა, მოსამსახურე, მეცნიერი და სპეციალისტი, საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას ფორმალიზმი ამ საქმეში, გახდეს იგი ნამდვილად შემოქმედებითი — ეს ჩვენი დიადი სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების საწინდარია.

**ა. საჯაია,**
სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის თბილისის საქალაქო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი.

### დიადი გამარჯვების 30 წლისთავისათვის

# არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული...

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, ფართოდ ჩაღდება მზადება ჩვენი ხალხის ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავისათვის.

გაცხოველებით მონაწილეობს ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მზადებაში თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლი, მასთან შექმნილი სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმი.

მუზეუმის სამხედრო საბჭომ შეიმუშავა ღონისძიებათა ვრცელი გეგმა. მუზეუმის დარბაზების ექსპოზიცია შეივსება მთელი რიგი ახალი საინტერესო მასალებით, დოკუმენტებით, ფოტოსურათებით, რომლებიც ასახავენ სამშობლოს უდრეკ დამცველთა გმირობას. იქმნება კავკასიისათვის ბრძოლების მონაწილე საბჭოთა კავშირის გმირთა პორტრეტების გალერეა.

გადაწყვეტილია მომზადდეს ლამაზად გაფორმებული ალბომების სერია, რომლებიც მიეძღვნება საბჭოთა კავშირის გმირებს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან და ყუბანიდან დიდების ორდენების სრულ კავალერებს, ოლქის ჯარის ნაწილებში არის სამხედრო დიდების მუზეუმები, სადაც თავმოყრილია ქართველი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების შვილების საბრძოლო გმირობის ამსახველი ექსპონატები. გათვალისწინებულია მოეწყოს საბრძოლო დიდების მუზეუმების ხელმძღვანელთა მეთოდური სემინარი, რათა ერთმანეთს გაუზიარონ ამიერკავკასიის ოლქის ახალგაზრდა მეომრების სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გამოცდილება.

ამ დღეებში თბილისის გარნიზონის ერთ-ერთ ჯარის ნაწილში გაიმართა პირადი შემადგენლობის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მეთერთმეტე არმიის ვეტერანი, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი პ. ვოლკოვი, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილე გადამდგარი პოდპოლკოვნიკი პ. სარდარიანი, სამამულო ომის მონაწილე, მზვერავი, გადამდგარი ოფიცერი ნ. ყვავილაშვილი.

# ტანკისტთა დღის აღსანიშნავად

**6 სექტემბერს** საბჭოთა არმიის ოფიცერთა თბილისის საოლქო სახლში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა, თბილისის გარნიზონის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ტანკისტთა დღეს.

პრეზიდიუმში არიან პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და პოლიტსამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ნ. გომაძემ. შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება ტანკისტთა დღის შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსმა სატანკო ჯარების გენერალ-მაიორმა კ. მ. კოსტიანოვმა.

დასასრულ გაიმართა საზეიმო კონცერტი. (საქინფორმი).

# კულტურა, განათლება — მასებს!

უკანასკნელ ხანებში უფრო მიზანსწრაფული, კონკრეტული გახდა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა. ამას დიდად უწყობს ხელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისაკენ. განსაკუთრებით დიდი მუშაობა უნდა წარიმართოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამ შუქზე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველო სახავს და ახორციელებს მთელ რიგ აუცილებელ ღონისძიებებს. 23-27 ივლისს მოეწყო საქალაქო და სარაიონო კულტურის სახლების დირექტორების ხუთდღიანი რესპუბლიკური კურს-კონფერენცია. იგი მუშაობდა ქ. თბილისში ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

კურს-კონფერენციის თვითეული დღის სამუშაო გეგმა მრავალფეროვანი იყო. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სარაიონო და საქალაქო კულტურის სახლების როლის ამაღლების შესახებ პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის — პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებების შუქზე მოსმენილ იქნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსის ა. კალანდარიშვილის მოხსენება.

„პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი საბჭოთა ადამიანების განუყოფელი თვისებაა“ — ამ თემაზე მოხსენება წაიკითხა პროფესორმა ა. მუჯირმა, „მასების შრომითი აღზრდა“ — პროფესორმა უ. ობოლაძემ; „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“ — პროფესორმა ი. ტაბალუამ, „კულტურული მშენებლობის ზოგიერთი საკითხები მიმდინარე ეტაპზე“ — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ოდილავაძემ.

„თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის მთავარი მიმართულებანი“ — ასეთი იყო ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის პ. ქიქავას მოხსენების თემა. თემაზე — „სარაიონო და საქალაქო კულტურის სახლების როლი მოსახლეობის ათეისტურ აღზრდაში“ — მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა თ. ფანჯიკიძემ. „ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა“. — ამ თემაზე ილაპარაკა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა შ. ჭილაძემ, „ახალგაზრდობასთან მუშაობის აქტუალური საკითხები“ — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ბაქრაძემ.

გაიმართა თემატური საღამო თემაზე — „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!“ აქ რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების შესახებ მოხსენებები გააკეთეს ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ქეთევან დადიანმა და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა გ. გამსახურდიამ. მოხსენება თემაზე — „საქართველოს სსრ კულტურის მიღწევები და განვითარების გზები“ — წაიკითხა პროფესორმა ბ. ჟღენტმა. საინტერესო თემებზე გააკეთა მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. იოსავამ.

ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკის საზაფხულო თეატრში მოეწყო ზეპირი ჟურნალის კითხვა თემაზე — „ახალგაზრდობა — ჩვენი ქვეყნის მომავალია“. საინტერესო ის არის, რომ ზეპირი ჟურნალი შედგებოდა 4 გვერდისაგან: „ადამიანის პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარება კომუნიზმის პირობებში“; „საბჭოთა ახალგაზრდობის ზნეობრივი იდეალი“; როგორ მოვძებნოთ საკუთარი მოწოდება“ და „ჰუმანიზმი, მაგრამ არა ყოვლის პატიება“. ყოველი გვერდის კითხვის დასასრულს მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები ასრულებდნენ საკონცერტო ნომრებს.

უეჭველია ასეთ ღონისძიებათა განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს რესპუბლიკაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გარდაქმნას თანამედროვე მოთხოვნების დონემდე.

**ნ. ჯანჯღავა.**

# ქართული ვაზის უკვდავება

### რატომ არ მზადდება ყურძნის წვენი ქარხნებში

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მრავალ დარგთა შორის არც ერთი არ იყო ისე ხნიერი, ქართველი მეურნისათვის ისე მახლობელი, მის სულსა და გულში ფართოდ გამჯდარი, როგორც მევენახეობა და მეღვინეობა. ქართველი კაცი ვაზით ცხოვრობდა, მას უკვდავების სიმბოლოდ თვლიდა.

სამი საუკუნის წინათ შემოსულმა მტერმა, ქართველი ხალხის შეუპოვრობით გაბოროტებულმა, გაჩეხა და გაანადგურა ვაზი. შაჰ-აბასმა დაწვა და გადაბუგა ვენახები. გააშიშვლა სამგორის და ალაზნის ველები, ცივ გომბორის ფერდობები, ოღონდ მოსპობილიყო ქართველი ხალხი. იგი გაბოროტებული ამბობდა, მოსპეთ ვაზი, და ქართველებიც მოისპობიანო.

ბარბაროსები ლამობდნენ სამუდამოდ მოესპოთ ქართველი ხალხის სიყვარული ვაზისადმი. მაგრამ ქართულმა მიწამ თავის სიღრმეში დამალა ვაზის ფესვები და როცა ხალხმა მტერი განდევნა, კვლავ ამოხეთქა ვაზმა, კვირტებით იფეთქა, კვლავ აბიბინდნენ ნაფუზარები.

მევენახეობა-მეღვინეობის ადგილის, ნიადაგის მიზანშეწონილი გამოყენებით, დაკვირვებულმა ქართველმა შექმნა ყურძნის ჯიშები, გამოიმუშავა აგროტექნიკა, დაამზადა ყურძნის დასამუშავებელი იარაღები, სათავსები, ჭურჭელი. ბუნებრივ-ისტორიულ და ყოფაცხოვრებითი პირობებით მრავალ პროდუქტთა შორის მეტი მნიშვნელობა სუფრის ღვინომ მოიპოვა. ზრუნვა ღვინის ხარისხისათვის უმთავრეს საქმედ იქცა. ღვინომ დაიმკვიდრა ჭირსა და ლხინში მაშვრალი კაცის შემაკავშირებელი სახელი, ყურძენი და ღვინო შევიდა კვების რაციონსა და მკურნალობაში. ვაზი, ვენახი იყო ერთ-ერთი უპირველესი კულტურა, რომელიც ჩვენმა შორეულმა წინაპარმა სათუთად ახარა, მოუარა და თავის სამსახურში ჩააყენა. ტყუილად კი არ ამბობდა დიდი ილია, ვაზი ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი თვისებააო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო აღორძინება მევენახეობის განვითარებამ, და მეცხრე ხუთწლედის დასაწყისში ვენახის ფართობი უდრიდა 118 ათას ჰექტარს, ვენახის გაშენების პერსპექტიული გეგმებით მეცხრე ხუთწლედის ბოლოს — საქართველოში ვენახის ფართობი 140 ათას ჰექტარს მიაღწევს, ხოლო შემდგომ უახლოეს წლებში — 180 ათას ჰექტარს.

ჩვენში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებამ თავის მაღალ დონეს XI-XII საუკუნეებში მიაღწია. მისი ფართობი აღწევდა 80 ათას ჰექტარს. საქართველოს რუსეთთან შეერთებამ დიდად შეუწყო ხელი ვაზის კულტურის განვითარებას, ქართველ მეურნეს მშვიდობიანი შრომის საშუალება მიეცა, გაფართოვდა გასაღების ბაზარი.

ამჟამად გამოშვებული ღვინის ასორტიმენტი საქართველოში შედეგია მრავალსაუკუნოვანი ვაზის ჯიშობრივი შერჩევისა, აგრეთვე გაუმჯობესებული ტექნოლოგიური ხერხებით ყურძნის გადამუშავებისა. მაღალი შეფასებები და ჯილდოები დაიმსახურეს ქართულმა ღვინოებმა (1954 წლიდან) გამოფენებზე — ლონდონში, კოპენჰაგენში, ლაიპციგში, ვენაში, დამასკოში, ალჟირში.

მარტო უკანასკნელი წლების განმავლობაში ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, საერთაშორისო კონკურსებზე ქართული ღვინოები, შამპანური და კონიაკები დაჯილდოვდნენ 200 ოქროს და ვერცხლის მედლით. თეთრი და წითელი სუფრის სამარკო ღვინოები მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს არ უთმობენ პოზიციებს. წინანდალი, გურჯაანი, ნაფარეული — განირჩევიან შესანიშნავი ხილის ბუკეტით, სინაზით და ჰარმონიულობით.

წითელი სამარკო ღვინოები — მუკუზანი, თელიანი თავისი მაღალი ხარისხით, ექსტრაქტულობით, განსაკუთრებით მუკუზანი, ინტენსიური შეფერვით, ხავერდოვნებით მოგვაგონებს განთქმულ ბურგუნდიის და ბორდოს ღვინოებს. ქართული ტექნოლოგიით დამზადებული ღვინოები განირჩევიან სპეციფიური ჯიშობრივი არომატით და მდიდარი საგემოვნო და სამკურნალო თვისებებით (ტიბაანი).

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში სისტემატურად იგზავნება პროდუქცია პირველი ღვინის ქარხნიდან საზღვარგარეთის ქვეყნებში — ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, ფინეთში, ავღანეთში, მონღოლეთში და სხვა ქვეყნებში, რაც აიხსნება ჩვენი თეთრი და წითელი სამარკო ღვინოების, ნახევრადტკბილი ღვინოების მაღალი ღირსებებით.

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში გამართულ მეღვინეთა საერთაშორისო კონგრესს ესწრებოდა განთქმული ფრანგი მეღვინე, აწ განსვენებული ლერუა (მაშინ 80 წელს მიტანებული), რომელმაც მთელი სიცოცხლე მეღვინეობას შესწირა. იგი ამბობდა: მსოფლიოში არ მოიძებნება ისეთი ღვინო, რომ არ გამესინჯოს. შარონი ლერუა საქართველოში ჩამოსვლამდე იცნობდა ქართულ ღვინოებს, მან კონგრესის სხდომაზე განაცხადა: „ქართული ღვინოები ჩემში იწვევენ საუკეთესო სურვილებს, ქართული ღვინოები მარად იცოცხლებენ! მადლობა იმათ, ვინც შექმნა ეს სიცოცხლის ელექსირი, მადლობა, იმათ, ვინც მომცა შესაძლებლობა გამეცნო ღვთისგან დალოცვილი ქვეყანა“.

ყოველწლიურად მატულობს საექსპორტოდ გასაგზავნი ღვინოები ღვინის პირველი ქარხნიდან. სულ ახალი ქვეყნების ყურადღებას იპყრობს ქართული ღვინის მაღალი ხარისხი. ხარისხის დაცვასთან ერთად, ამ მეტად პასუხსაგები საქმისათვის უნდა მოხდეს მოძველებული დანადგარების შეცვლა. ამისათვის საჭიროა ქარხანაში განხორციელდეს ტექნოლოგიური მოწყობილობის მოდერნიზაცია, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს ღვინის მაღალხარისხოვნად დამუშავებას.

ამჟამად საქართველოში აწარმოებენ ყურძნის სამარკო ღვინოებს — თეთრსა და წითელს, ბუნებრივ ნახევრადტკბილს, შემაგრებულ სადესერტო მაგარს, მშრალს, ნახევრადმშრალს, ტკბილს, ნახევრადტკბილსა და მშრალს, შამპანურს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პროგრესული წესით მიმდინარეობს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება, და ის მაღალ მაჩვენებლებს აღწევს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ. მაგრამ, სამწუხაროდ, სამტრესტის საწარმოო გაერთიანება, რომელიც ამზადებს 50 სახის მაღალხარისხოვან პროდუქციას, აღარ უშვებს ყურძნის წვენს, რომელსაც ადრე უშვებდა „სამტრესტი“, ამ ბოლო წლებში კი სრულიად ამოიღო ასორტიმენტიდან.

ყურძნის წვენი წარმოადგენს ერთ-ერთ სამკურნალო დიეტურ პროდუქტს, განსაკუთრებით მოზარდებისათვის, იხმარება ინფექციურ საავადმყოფოებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში. აღნიშნული პროდუქტი უნდა იყოს პირველი მოთხოვნილების პროდუქტთა რიცხვში. დროა მომავალ სეზონში მაინც დამზადდეს ყურძნის წვენი საჭირო რაოდენობით.

ვაზის ნაყოფისგან მიღებულ მაღალი ხარისხის ღვინის პროდუქტს ყოველთვის ექნება მნიშვნელოვანი როლი. მისი ზომიერი, გონივრული მოხმარება ადამიანებში იწვევს სასიამოვნო და კეთილ გრძნობებს.

ჩვენი დევიზი უნდა იყოს: შემდგომ განვავითაროთ საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა, ჩვენი ეროვნული სიამაყე, მტკიცედ დავიცვათ ქართული ღვინოების მარკის ღირსება.

**პ. მგალობლიშვილი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინე-ტექნოლოგი.

# მსოფლიო დღეს

ვითარება კვიპროსში

## დაძაბულობა არ ნელდება

**ნიქოზია, 5 სექტემბერი. (საკდესი).** რესპუბლიკური ხელისუფალნი დიდ ყურადღებას უთმობენ ვითარების ნორმალიზაციას, ლტოლვილთა პრობლემის გადაწყვეტას, იატაკქვეშა ორგანიზაციების, მათ შორის ეოკა-2 ორგანიზაციის უკანონო საქმიანობის აღკვეთას. ამ საკითხს მიეძღვნა, კერძოდ, ამ დღეებში გ. კლირიდისთან გამართული თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრი, აგრეთვე ეროვნული გვარდიის სარდალი.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება განამტკიცონ პოლიციის კადრები, ამ მიზნით დაითხოვონ 15 ივლისის მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხების შემდეგ სამსახურში მიღებული რამდენიმე ასეული პოლიციელი, და წინანდელ პოსტებზე აღადგინონ ამბოხებულთა მიერ გადაყენებული პირნი. გადაწყვეტილია აგრეთვე განაიარაღონ ყველა არალეგალური შეიარაღებული ჯგუფი. მთავრობის ეს გადაწყვეტილებანი მოიწონა კუნძულის ფართო საზოგადოებრიობამ.

სამხედრო ვითარება კვლავ მერყევია.

საბერძნეთისა და თურქეთის მხარეები კვლავ ერთმანეთს აბრალებენ ძალმომრეობასა და მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის მოსპობას. საბერძნეთმა თურქეთის მხარეს შესთავაზა შეთანხმდნენ და შექმნან სპეციალური შერეული კომისია მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა გამოსაძიებლად, რომელშიც შევლენ ორივე თემის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლები. კვიპროსის მთავრობა არ დათანხმდება რაიმე მოლაპარაკებაზე, სანამ ლტოლვილებს არ მიეცემათ შინ დაბრუნების შესაძლებლობა, განაცხადა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გ. კლირიდისმა. მთავრობა უარს იტყვის აგრეთვე ყოველგვარ მოლაპარაკებაზე, რომელსაც საფუძვლად დაედება გეოგრაფიული პრინციპით კვიპროსის პრობლემის ფედერაციული გადაწყვეტა, ხაზი გაუსვა მან.

**ათენი, 5 სექტემბერი. (საკდესი).** საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გ. მავროსი დღეს გაემგზავრა დასავლეთ ევროპის სამი ქვეყნის დედაქალაქებში. იგი ეწვევა პარიზს, ბონსა და ბრიუსელს, სადაც მოლაპარაკებას გამართავს პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე.

**ნიქოზია, 6 სექტემბერი. (საკდესი).** გუშინ საღამოს გაცხარებული სროლა ატყდა ეგრეთ წოდებული „მწვანე ხაზის" გასწვრივ, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს კვიპროსის დედაქალაქის ბერძნულ და თურქულ ნაწილებს. განსაკუთრებით გაფთრებული ხასიათისა იყო იგი ომორფიტაში, ნიქოზიის გარეუბანში, აგრეთვე ფამაგუსტის კართან, სადაც იწყება კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე ამავე სახელწოდების ნავსადგურისაკენ მიმავალი გზა.

სროლამ, რომელიც დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა და მხოლოდ შუაღამის შემდეგ შეწყდა, ნიქოზიის მცხოვრებთა დიდი შეშფოთება გამოიწვია, რასაც ხელი შეუწყო მითქმა-მოთქმამ, თითქოს მზადდებოდეს თურქეთის ჯარების ახალი გადაადგილება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების წარმომადგენელმა ადგილობრივი რადიოთი მოსახლეობას მოუწოდა შეინარჩუნონ სიმშვიდე და არ დატოვონ დედაქალაქი.

## ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

## თათბირი თეთრ სახლში

**ვაშინგტონი, 5 სექტემბერი,** საკდესის კორესპონდენტი ვ. ჩერნიშოვი გვატყობინებს: დღეს თეთრ სახლში პრეზიდენტ ჯ. ფორდის თავმჯდომარეობით გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური პრობლემებისადმი მიძღვნილი თათბირი, რომელშიც მონაწილეობენ მთავრობის, კონგრესის წარმომადგენლები, წამყვანი ეკონომისტები. ეს ცალკეულ ეკონომიურ საკითხებზე მიმდინარე თვეში დასახულ სხდომათა სერიის პირველი სხდომაა. ეს სხდომები 27-28 სექტემბერს დამთავრდება ეკონომიკის საკითხებზე საერთო ეროვნული კონფერენციით.

თათბირის გახსნისას ჯ. ფორდმა განაცხადა, რომ ამერიკის ეკონომიკის პრობლემები „თვალნათლივი და მტკივნეულია" და რომ ამერიკელი ხალხი დაიღალა პოლიტიკური წრეების უუნარობის გამო, რომლებსაც ვერ გადაუწყვეტიათ მისი ბიუჯეტის პრობლემები. პრეზიდენტმა ინფლაციას უწოდა ამერიკის საზოგადოებრიობის „საშინელი მტერი". მან განაცხადა, რომ არ უნდა მოელოდნენ დაუყოვნებლივ შედეგებს ეკონომიკის საკითხებზე დაწყებული თათბირების სერიიდან, ამ თათბირების მიზანია, თქვა პრეზიდენტმა, განსაზღვრონ არსებული პრობლემების ძირეული მიზეზები და იპოვონ შესაძლო პასუხი ამ პრობლემებზე.

ეკონომიური სიძნელეების გადაწყვეტის ყოველი პროგრამა, ხაზი გაუსვა ჯ. ფორდმა, ამერიკელი ხალხისაგან მოითხოვს „დიდ პირად მსხვერპლს". პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკელი ხალხი მოითხოვს გადავჭრათ პრობლემა ინფლაციისა, რომლის ზრდის ტემპი წლიური გაანგარიშებით 12 პროცენტს შეადგენს, და პრობლემა ეკონომიკისა, რომელიც ერთ ადგილზე დგას.

ჩილელ ხალხთან სოლიდარობის კვირეული

## თავისუფლება პატრიოტებს!

**სირცხვილი თავისუფლების ჩამხშობთ!** — ასეთი ლოზუნგით მიმდინარეობდა ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში. მიტინგი გახსნა ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მდივანმა შ. აბრამიძემ, რომელმაც თქვა:

— დარწმუნებული ვართ, რომ გენერალ პინოჩეტის სამხედრო ხუნტას უსათუოდ დაუდგება შურისძიების ჟამი ვერაგობისათვის, ჩილელი ხალხის ათასობით უდანაშაულო შვილის წამებისათვის.

მიტინგზე გამოვიდა გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის განყოფილების გამგე ტ. ცეცხლაძე. მან განაცხადა:

— გულგრილად ვერ დავრჩებით იმ თარეშისადმი, რასაც სჩადის გათავხედებული სამხედრო ხუნტა, რომელმაც ჩილელ ხალხს ტანჯვა და ცრემლები მოუტანა. ათასობით პატრიოტი საპყრობილეების დილეგებში იტანჯება. ჯალათები იყენებენ პატიმრებზე ზემოქმედების საშუალებათა ფართო „არსენალს", რათა გასტეხონ მათი ნება-სურვილი. ამას ვერ შევურიგდებით. ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მსოფლიოს მთელი პროგრესული კაცობრიობა მოითხოვს შეწყვიტონ ტერორი ჩილეში, გაათავისუფლონ ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვა პოლიტიკური პატიმრები.

ჩილეს სამხედრო ხუნტის სისხლიანი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ მრისხანე პროტესტი გამოთქვა ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრმა ა. გაჩეჩილაძემ. (საქინფორმი).

ფოტოსურათი ამხილებს

საპატიმროების დილეგებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გამომწყვდეული ათეულ ათასობით უდანაშაულო ადამიანი, მასობრივი ჩხრეკა და დაპატიმრებანი, დევნა და რეპრესიები, ფაშისტური ხუნტის ჯარისკაცთა იარაღის ჟღარუნი — ასეთია დღეს სანტიაგოს ყოველდღიური ცხოვრების სურათი.

## შეწყდეს ტერორი, რეპრესიები!

**ვარშავა.** ჩილელ ხალხთან სოლიდარობის პოლონეთის კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია, რომ მსოფლიოს ხალხები, რომლებიც ღრმად არიან შეშფოთებული ჩილელი ხალხის ბედით, საყოველთაო პროტესტს გამოთქვამენ და გადაჭრით გმობენ ყოველივე იმას, რაც დღეს ჩილეში ხდება.

ჩილეს ტრაგედიის დასაწყისიდანვე, წერს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ", პოლონეთის საზოგადოებრიობისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პოზიცია ნათელი, მტკიცე და თანამიმდევრული იყო. პოლონელი ხალხი კვლავ მტკიცედ უჭერს მხარს ჩილეს მუშათა კლასს და მთელ ჩილელ ხალხს.

**ულან-ბატორი.** ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლის მხარდამჭერის მონღოლეთის კომიტეტმა მოითხოვა ხუნტას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს დანაშაულებრივი მოქმედება ხალხის წინააღმდეგ, გაათავისუფლოს ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვა ჩილელი პატრიოტები.

**ბუდაპეშტი.** გადაჭრით ვგმობთ ჩილელი კონტრრევოლუციონერების სისხლისმღვრელ ტერორს, რეპრესიებს ქვეყნის დემოკრატიული და პროგრესული ძალების წინააღმდეგ და კვლავ სოლიდარობას ვუცხადებთ ჩილელ ხალხს, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ჩილის დაცვის უნგრეთის კომიტეტის განცხადებაში. გამოვთქვამთ უნგრელი საზოგადოებრიობის აქტიურ სოლიდარობას და მოვითხოვთ აღადგინონ დემოკრატიული თავისუფლებანი, გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი.

**ლისაბონი.** პორტუგალიაში მიმდინარეობს ჩილელი ხალხის ბრძოლისადმი სოლიდარობის კვირეული. იგი მოაწყო პორტუგალიის მშვიდობის ეროვნულმა კომიტეტმა ქვეყნის მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციების — პორტუგალიის დემოკრატიული მოძრაობის, პროფკავშირული გაერთიანება „ინტერსინდიკალის", პორტუგალიელ ქალთა დემოკრატიული მოძრაობის, მშრომელი ახალგაზრდობის მოძრაობის, კომუნისტ სტუდენტთა კავშირის, აგრეთვე პორტუგალიის კომუნისტური პარტიის მონაწილეობით. (საკდესი).

## მალაიზიის მთავრობა

**კუალა-ლუმპური, 6 სექტემბერი. (საკდესი).** მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა აბდულ რაზაკმა გამოაცხადა მის მიერ ჩამოყალიბებული მთავრობის შემადგენლობა. ეროვნულმა ფრონტმა, რომელსაც იგი სათავეში უდგას, გაიმარჯვა გასულ თვეში გამართულ პარლამენტის საყოველთაო არჩევნებში.

აბდულ რაზაკმა დაიტოვა საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი. პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი გახდა ჰუსეინ ონი, თავდაცვის მინისტრია მუსტაფა ბინ ჰარუნი.

## მოლაპარაკება დაიწყო

**დარ-ეს-სალამი, 5 სექტემბერი. (საკდესი).** ლუსაკიდან მიღებული ცნობებით, დღეს ზამბიის დედაქალაქში დაიწყო მოლაპარაკება მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტისა (ფრელიმო) და პორტუგალიის მთავრობის წარმომადგენლებს შორის მოზამბიკისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის დელეგაციას ხელმძღვანელობს ფრელიმოს თავმჯდომარე სამორა მაშელი, პორტუგალიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ საგარეო საქმეთა მინისტრი მ. სოარეში, უპორტფელო მინისტრი მაიორი მელუ ანტუნეში, ტერიტორიებს შორის ურთიერთობის კოორდინაციის მინისტრი ალმეიდუ სანტუში და სხვები.

ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისათვის

საქართველო — ბულგარეთი

## მეცნიერთა თანამშრომლობა

უკვე რამდენიმე წელია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მჭიდრო მეცნიერული ურთიერთობა აქვს ბულგარეთის კურორტოლოგიის ინსტიტუტთან. ისინი სისტემატურად უცვლიან ერთმანეთს სამეცნიერო ინფორმაციებს.

ახლახან ქართველმა და ბულგარელმა კურორტოლოგებმა შეაჯამეს ერთობლივი კვლევის შედეგები. რამდენიმე წლის მანძილზე მათ შეისწავლეს საშუალო მთის კლიმატის გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით შეპყრობილ ადამიანებზე. დაკვირვება წარმოებდა საქართველოს მთის კურორტებში — სურამში (750 მ.), წყნეთში 900 მ.), წავერში (1100 მ.), შოვსა და ავადხარაში (1600 მ.) და ბულგარეთის კურორტ კურტოვოში (1850 მ.).

საქართველოში წარმოებული კვლევის ხელმძღვანელმა, კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა გ. უშვერიძემ განმარტა მუშაობის შედეგები და საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

მთის კლიმატის სამკურნალო თვისებები სუნთქვის ორგანოების დაავადებებთან, ბავშვის ასაკის სხვადასხვა ქრონიკულ ავადმყოფობასთან ბრძოლაში დიდი ხანია ცნობილია. მაგრამ გულ-სისხლძარღვთა ავადმყოფთა მკურნალობისათვის მთის კლიმატის გამოყენების საკითხში იყო საწინააღმდეგო აზრები. ახლა ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ, რომ გარკვეულ სიმაღლეებზე მთის კლიმატის სამკურნალო მოქმედება ხელს უწყობს ზოგიერთი ფორმის ჰიპერტონიული და ჰიპერტონური დაავადების, გვირგვინოვან ძარღვთა ათეროსკლეროზის მკურნალობას. მაგრამ სანამ ავადმყოფს ვურჩევდეთ მთის კურორტზე მკურნალობას, საჭიროა წინასწარ გულმოდგინედ გამოვიკვლიოთ იგი, თვალი გავადევნოთ, როგორ მიმდინარეობს ორგანიზმის აკლიმატიზაცია მთებში და სხვ.

ბულგარელ კოლეგებთან ერთობლივი კვლევის დროს ამოცანად დავისახეთ გამოვარკვიოთ, თუ რა გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით შეპყრობილ ადამიანებზე სიმაღლე სხვადასხვა გეოგრაფიულ განედზე.

ჰიპერტონიული ავადმყოფობის დაწყებითი ფორმები, აგრეთვე ჰიპერტონიის — დაბალი სისხლის წნევის დროს გაუხშოებული ჰაერი კარგად მოქმედებს. იგი ხელს შეუწყობს წნევის ნორმალიზაციას, სუნთქვის ფუნქციების, ზოგიერთი ბიოქიმიური მაჩვენებლის გაუმჯობესებას. ისე რომ, მაგალითად, ზღვის დონიდან 1100 მეტრი სიმაღლე, სადაც განლაგებულია კურორტი წავერი, შეიძლება ვურჩიოთ ჰიპერტონიით დაავადებულებს. ამასთანავე 1600 მეტრ სიმაღლეზე ჰიპერტონიით დაავადებულ ადამიანებს შეემჩნევათ გულის უარყოფითი მოვლენები.

ბულგარელ მეცნიერებთან ერთობლივი კვლევის წარმოება გადაწყვეტილი იყო გარკვეულ სიმაღლეზე, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის მრავალფეროვნებამ საშუალება მოგვცა გაგვეფართოებინა კვლევითი სამუშაოების ფრონტი, გამოგვენახა ოპტიმალური სიმაღლე სხვადასხვა ფორმის გულ-სისხლძარღვთა დაავადების სამკურნალოდ.

მეცნიერ მედიკთა თანამეგობრობა გრძელდება. ახლა საქართველოსა და ბულგარეთის კურორტოლოგები სწავლობენ თბილისში, წყალტუბოში და ბულგარეთის მთელ რიგ კურორტებში როდონული აბაზანების საშუალებით გულისა და სისხლძარღვების ზოგიერთ დაავადებასთან ბრძოლის შესაძლებლობებს. (საქინფორმი).

## ტელეტაიპის ლენტიდან

### ეკონომიური სიძნელეები

**ბონი, 6 სექტემბერი. (საკდესი).** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა განაცხადა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები ამჟამად სერიოზულ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიან. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში მან ხაზი გაუსვა, რომ „დიდ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდის ამერიკის შეერთებული შტატებიც". „ჩვენ ყველანი განვიცდით სიძნელეებს", თქვა ჰ. შმიდტმა.

კანცლერის თქმით ამის მთავარი მიზეზია ნავთობის რამდენჯერმე გაძვირება და მასთან დაკავშირებული ენერგეტიკული ტარიფების გადიდება, აგრეთვე ნედლეულის ფასების მნიშვნელოვანი მომატება.

### ლეიბორისტთა წინადადება

**ლონდონი, 6 სექტემბერი. (საკდესი).** ინგლისის ლეიბორისტულმა პარტიამ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია შეიქმნას ხელისუფლების რეგიონალური ორგანოები — ასამბლეები — შოტლანდიასა და უელსში.

ნავარაუდევია, რომ პირდაპირი კენჭისყრით არჩეულ ასამბლეებს უნდა ჰქონდეთ საკანონმდებლო ფუნქციები. ხელისუფლების ახალ ორგანოებს აგრეთვე შესაძლებლობა მიეცემათ მიიღონ გადაწყვეტილებანი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საბინაო მშენებლობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, მშენებარე სამრეწველო ობიექტების განლაგება.

ლეიბორისტული პარტია ვარაუდობს, რომ მის მიერ წამოყენებული გეგმა დაეხმარება მოიპოვოს შოტლანდიელ და უელსელ ამომრჩეველთა მეტი ხმები თემთა პალატის მომავალ არჩევნებში.

### კონფერენცია დამთავრდა

**ჟენევა, 6 სექტემბერი. (საკდესი).** აქ დამთავრდა აფრიკაში აპარტეიდისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ არასამთავრობო ორგანიზაციათა საერთაშორისო კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ 100-ზე მეტი ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის, აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების წარმომადგენლები.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შესახებ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, კერძოდ, რომ აპარტეიდის პოლიტიკა, რომელსაც სამხრეთ-აფრიკელი რასისტები ადგანან, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმეს.

### მინისტრების შეხვედრა

**პარიზი, 6 სექტემბერი. (საკდესი).** აქ გაიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჟ. სოვანიარგისა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გ. მავროსის შეხვედრა. მოლაპარაკების დროს განიხილეს კვიპროსის, „საერთო ბაზართან" საბერძნეთის დამოკიდებულების პრობლემები და საბერძნეთის ეკონომიური მდგომარეობა.

თბილისი — საარბრიუკენი

## მარადსახსოვარი დღეები

შთაბეჭდილებები, ფიქრები, ჩანაწერები

ჩვენი საზოგადოებრიობისათვის კარგად ცნობილი იყო ის სენსაციად ქცეული წარმატება, რომელიც შარშან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. საარბრიუკენში ხვდა ზაქარია ფალიაშვილის „დაისს". საარის მხარის სახელმწიფო თეატრის დასისა და ქართველ ხელოვანთა შემოქმედებითმა თანამშრომლობამ ეფექტიანი ნაყოფი გამოიღო. ქართველი ოსტატების წამოსვლის შემდეგ კი უკვე გერმანელთა სპექტაკლმა „დაისმა" წარმატებით განაგრძო ცხოვრება მათ სცენაზე. მეტიც, საარლანდის თეატრმა, როგორც სანიმუშო სპექტაკლი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარეთაც, ლუქსემბურგში აჩვენა ქართული კლასიკური ოპერა, და იქაც რეზონანსი ფრიად მნიშვნელოვანი იყო (ლუქსემბურგის პრესაც მხურვალედ გამოეხმაურა ამ წარმოდგენას, როგორც საგანგებო მოვლენას). ქართულ ოპერას კი პირველად გაეხსნა გზა დასავლეთ ევროპაში.

რითი აიხსნებოდა ქართული კლასიკური ოპერის ესოდენ სენსაციური წარმატება გერმანიაში, — „მუსიკის ღმერთების" ქვეყანაში, ყოველგვარი მუსიკით — უძველესი კლასიკიდან უახლეს „ავანგარდიზმამდე" განებივრებული აუდიტორიის წინაშე? იქნებ „ეგზოტიკური ინტერესებით"? ამის საბოლოო პასუხი დროს უნდა გაეცა, ეს კი იმთავითვე ცხადი გახდა: უცხოეთში გადაიშალა ქართული მუსიკის თვითმყოფი სამყარო, მასში გამოხატული ქართველი ხალხის თვისებებით.

ამას მოჰყვა თბილისში ვაგნერის „ლოენგრინის" დადგმა (გერმანელ ოსტატთა მონაწილეობით და მხატვრული ხელმძღვანელობით), მისი დიდი წარმატება, და ასე დაიწყო ორი თეატრის მეგობრობა. ურთიერთობა, რომელიც ამის შემდეგ წარიმართა, უშუალოდ უპასუხებს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების იმ პუნქტს, ქალაქების დამეგობრებაზე რომ მიუთითებს.

თბილისის პრესამ ნაწილობრივ აცნობა ჩვენს მკითხველებს იმ საზეიმო ვითარების, ფართო საზოგადოებრივი დაინტერესების, აღტაცებული გამოძახილების შესახებ, რომლითაც საბჭოთა კავშირის ქართული კვირეულის დღეები იყო გარემოცული საარბრიუკენში ა. წ. 29 მაისიდან 8 ივნისამდე, საბოლოოდ კი საარბრიუკენის, ასევე სხვა გერმანული ქალაქების პრესამ, ყოველდღიური რეაგირებით მთელი სისავსით ასახა კვირეულის მსვლელობა, და შეიძლება ითქვას, შექმნა ამ დღეების თვალსაჩინო მატიანე. ამ მასალით ჩვენი მკითხველისთვისაც ცხადი გახდება, რომ ეს შეფასებანი მარტოოდენ სტუმართმოყვარეობით არ აიხსნება, რაც მთავარია, ცხადი გახდება ამ შეფასებათა მაღალი კრიტერიუმები და საკითხთა დაყენების მთელი სერიოზულობა. აღარ გავიმეორებთ იმას, რაც უკვე დაიწერა ჩვენს პრესაში საზეიმო გახსნის ოფიციალური და მხატვრული ნაწილების შესახებ.

„სამუშაო" ატმოსფერო დამყარდა მეორე დღიდანვე. კვირეულის მონაწილენი ჯგუფებად დაიყვნენ და პარალელურად მართავდნენ კონცერტებს საარის მხარის სხვადასხვა ქალაქში. ქართული ხალხური სიმღერის მასპინძელი გახდა ქ. დაანი, სადაც გამოდიოდა ანსამბლი „რუსთავი" ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. აუდიტორიის რეაქცია იმდენად შთამაგონებელი იყო, რომ ქართული ხალხური სიმღერის შარავანდედი და ანსამბლ „რუსთავის" სახელი ელვის სისწრაფით მოედო საარლანდის მთელ მხარეს, ასევე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა ქალაქებსაც. ამ ქალაქებიდან კითხულობდნენ, სად და როდის გამოდის ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი. ქართულ ხალხურ სიმღერას „მშვიდობის ბომბი" უწოდეს. ქ. დაანის ბურგომისტრმა კი განაცხადა: „ჩვენთვის აღმოჩენაა ასეთი მძლავრი ხალხური კულტურა. აი რატომ არის კიდევ საჭირო ხალხთა ასეთი დაახლოება".

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმ რეაქციამ, რომელიც ქართულ მხატვრულ სიტყვას ხვდა იმავე კონცერტზე. „რუსთავთან" ერთად გამოდიოდა გურამ საღარაძე და გუნდის სიმღერის ფონზე კითხულობდა „ავთანდილის ანდერძს" და „სულიკოს". მანამდე კი „ვეფხისტყაოსნის" აღნიშნული ეპიზოდი გერმანელმა მსახიობმა წაიკითხა და აუდიტორია ამით შეამზადა ქართული სიტყვის მოსასმენად. და აი, უძველესი საგალობლის ფონზე გაისმა გურამ საღარაძის ხმა. გერმანელი მაყურებელი სულგანაბული, შეპყრობილი უსმენდა რუსთაველის სიტყვებს, ქართული სიტყვის ფონეტიკურ ჟღერადობასა და მუსიკალობას, ქართველი მსახიობის ოსტატურ, ამაღლებული განცდით აღბეჭდილ სიტყვას. „რუსთავს" თითქმის ყველგან თან ახლდა ქართული ხალხური საკრავების ტრიო ო. კელაპტრიშვილის, ჯ. ყოლბაიასა და გ. მუჯირის შემადგენლობით, ყველგან მხურვალე რეაქცია იყო, როცა ომარ კელაპტრიშვილი ვირტუოზულად აჟღერებდა სალამურზე ქართულ ჰანგებს, ორ სალამურზეც კი ერთდროულად უკრავდა, ბოლოს ამას „გამომწვევად" აგვირგვინებდა მოცარტის „თურქული რონდოთი".

ამას მოჰყვა „რუსთავის" სხვა ამგვარი გასვლები, შეხვედრები და კონცერტები ქ. დილიგენის მეტალურგიულ ქარხანაში (იგი ერთ-ერთი უძველესია ევროპაში), ქ. დარმშტადტში, სადაც საზეიმო ვითარებაში საბჭოეთის წარგზავნილებს ქალაქის ბურგომისტრი მიესალმა.

„რუსთავს" ყველგან თან ახლდა და გამოდიოდა მოცეკვავე ვაჟთა ოთხეული. პრესაც აღნიშნავდა ქართული ცეკვის დინამიკურ ძალას, მოცეკვავეთა ტემპერამენტს.

რა ხდებოდა კვირეულის იმ მეორე საღამოს თვით საარბრიუკენში? ნამდვილ სენსაციად გადაიქცა საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის კონცერტი, რომელიც სახელმწიფო თეატრის კამერულ დარბაზში გაიმართა. უკვე ანტრაქტის დროს დაიბადა აღტაცების გამომსახველი სიტყვები, რომელიც მეორე დღესვე გაზეთ „საარბრიუკერ ცაიტუნგში" შეჯამდა: „საბჭოთა კავშირის ქართული კვირეული საარლანდის სახელმწიფო თეატრში განსაცვიფრებელ მოულოდნელობათა მოლოდინშია. რომ ამ, კავკასიონის სამხრეთ მდებარე ქვეყანაში გამოჩენილი მომღერლები და ჩინებული ფოლკლორული ჯგუფები ჰყავთ, ეს ჩვენს ქვეყანაშიც იციან, მაგრამ აქამდე არავითარი წარმოდგენა არ გვქონდა იქაურ კამერულ მუსიკაზე, მუსიცირების ამ ყველაზე ძნელ და იქნებ უმნიშვნელოვანეს ფორმაზე"... თეატრის ფოიეშივე გაჩაღდა აზრთა მხურვალე ურთიერთგაზიარება. გერმანელმა ავტორიტეტულმა მუსიკოსებმა ჩვენი ახალგაზრდული კვარტეტი კ. ვარდელის, თ. ბათიაშვილის, ნ. ჟვანიასა და ო. ჩუბინიშვილის შემადგენლობით, დააყენეს ევროპას საუკეთესო სიმებიანი კვარტეტების სიმაღლეზე, მისი შესრულება დაუკავშირეს თანამედროვე საკვარტეტო ხელოვნების პრობლემებს, კლასიკური თუ თანამედროვე მუსიკის ინტერპრეტაციის საკითხებს. პარალელები გაავლეს სხვა ქვეყნების ცნობილ კვარტეტებთანაც. აღტაცება გამოიწვია პირველივე პროგრამის მრავალწახნაგოვნებამ, რომელიც საკვარტეტო შემოქმედების სხვადასხვა ეპოქას მოიცავდა და გამოხატავდა შემსრულებელთა დიდ დიაპაზონს. ცნობილმა კრიტიკოსმა ალბერტ პეტერ ბიცმა, რომელიც სისტემატურად აშუქებდა პრესაში ჩვენს კვირეულს, განაცხადა, ბეთჰოვენის კვარტეტების საუკეთესო შემსრულებლად აქამდე უნგრული კვარტეტი მიმაჩნდა, ქართულმა კვარტეტმა აქაც გვაჩვენა საკუთარი ხელწერა და ბეთჰოვენის კვარტეტების შესრულების ტრადიციას თანამედროვე დინამიკურობა შესძინა, ერთხმად აღიარეს თანამედროვე საკვარტეტო მუსიკის ერთ-ერთი ურთულესი ნიმუშის — ბარტოკის მეოთხე კვარტეტის ბრწყინვალე შესრულება.

მთავარი მომენტი კი გერმანელთათვის სულხან ცინცაძის მეექვსე კვარტეტი და მისივე მინიატიურები იყო. საბოლოოდ ირწმუნეს საკვარტეტო ხელოვნების ესოდენ მაღალი დონის კანონზომიერება სწორედ საქართველოში — სადაც ასეთი დიდებული საკვარტეტო მუსიკა იწერებაო. ისევე, როგორც „რუსთავი", სიმებიანი კვარტეტიც მოგზაურობდა ქალაქიდან ქალაქში, როგორც უკვე სახელმოხვეჭილი ანსამბლი და ყველგან მხურვალე მასპინძლობას პოულობდა...

იმის გამო, რომ საარბრიუკენის ერთადერთ სიმფონიურ კოლექტივს — სახელმწიფო თეატრის ორკესტრს საგანგებო რეპეტიციების საშუალება აღარ ჰქონდა, კვირეულზე სიმფონიური მუსიკა მხოლოდ ორი მცირე ფორმის ქმნილებით იყო წარმოდგენილი — გახსნის საღამოს შესრულდა შ. მშველიძის „ქორალი" (რითაც დაიწყო კვირეული) და რ. ლაღიძის „საჭიდაო". მათ საუცხოოდ დირიჟორობდა თბილისელთათვის კარგად ცნობილი ზიგფრიდ კიოლერი. მაგრამ ქართული სიმფონიური, ასევე საკონცერტო-ორატორიული ქმნილებანი არაერთგზის აჟღერებულან საზღვარგარეთ, განსაკუთრებით სოციალისტურ ქვეყნებში.

საარბრიუკენში კი გადაწყდა ქართული ხელოვნების პროპაგანდის გაცილებით უფრო რთული პრობლემა. აქ ქართული პროფესიული მუსიკის ცენტრში ოპერა იყო. მეტიც, ორი ქართული ოპერა, ერთი კლასიკური — „დაისი" და ხოლო მეორე — თანამედროვე საბჭოთა ავტორისა — „მინდია" კიდეც „დასახლდა" საარლანდის სახელმწიფო თეატრის სცენაზე და შევიდა ამ გერმანული საოპერო თეატრის სანიმუშო წარმოდგენების ფონდში. 1975 წლისათვის დასახულია ქართული კლასიკური ოპერის უმაღლესი ქმნილების „აბესალომ და ეთერის" დადგმა. განმარტებას აღარ საჭიროებს ამ ფაქტის მნიშვნელობა.

კვირეულის დღეებში შედგა გერმანულ სცენაზე მეორე ქართული ოპერის — ო. თაქთაქიშვილის „მინდიას" პრემიერა, რომელიც სამჯერ იქნა წარმოდგენილი. განაპირა სპექტაკლებში მთავარ გმირებს ქართველები ასრულებდნენ (პრემიერაზე გამონაკლისი იყო ჩალხია, რომელსაც თბილისელთათვის კარგად ცნობილი ბულგარელი მომღერალი, „ლოენგრინის" მონაწილე დ. პოპოვიჩი ასრულებდა). შუა წარმოდგენა კი — რა სახითაც დარჩება ეს ოპერა საარბრიუკენის სცენაზე, მთლიანად გერმანელებისა იყო. დირიჟორობდნენ ჩვენები, გერმანელ მონაწილეებთან გ. აზმაიფარაშვილი, ქართველ მომღერლებთან — ოპერის ავტორი. რეჟისორმა გ. ჟორდანიამ და მხატვარმა თ. სუმბათაშვილმა პირველად როდი მიმართეს „მინდიას", მაგრამ მათ არ გაუმეორებიათ მიღწეული და შეუპოვარი თანმიმდევრობით ეძებდნენ შესანიშნავი ეროვნული ოპერის გასცენიურების უკეთეს ფორმას. საარბრიუკენის „მინდია" მართლაც საუკეთესოა მათ შორის. ბუნების მონუმენტური მეტაფორა და მისი დაპირისპირება რეალურ-ყოფითი სამყაროსადმი, პანორამათა დინამიკური ცვლა, ციხე-კოშკების მკაცრი, მოძრავი სილუეტები, ყოველივე ამასთან დინამიკური, პლასტიკური მიზანსცენები ეროვნული გმირულ-რომანტიკული თეატრის ელვარებით მსჭვალავს წარმოდგენას.

აღტაცება გამოიწვია ვახტანგ გუნაშვილის მიერ დადგმულმა ცეკვებმა, განსაკუთრებით გოგონათა ცეკვამ, რომლითაც სოფელი ეგებება დაბრუნებულ მხედრობას (ეს ახალი, მშვენიერი ეპიზოდი კომპოზიტორმა საარბრიუკენის დადგმისათვის დაწერა და წარუმძღვარა „გამარჯვების ცეკვას"). მფრინავი გოგონების ლაღ პლასტიკაში მოუთრგუნველი მთიელი ქალიშვილების თვისებებია გამოხატული (განსაკუთრებით მომხიბლავი იყო მათ შორის მთავარი — ბრაზილიელი მოცეკვავე ქალი). მთელი საცეკვაო სცენა საზეიმო აღტკინების რიტუალურ გამოხატულებას იღებს. ეს უკვე ვ. გუნაშვილის, როგორც ქორეოგრაფის მეორე ნაწარმოებია (დებიუტიც ხომ საარბრიუკენში შედგა!). მე კი ვიტყოდი, რომ საკმაოდ დიდი ხანია, რაც ქართულ საოპერო სპექტაკლში აღარ გვინახავს ესოდენ ეფექტური სიახლით დადგმული ცეკვები, როგორიც „მინდიაში" ვნახეთ. ამჯერად ქართული ცეკვის ამ ბრწყინვალე ოსტატის ახალი მოღვაწეობა — უკვე როგორც ეროვნული ცეკვების ქორეოგრაფისა, ფრიად პერსპექტიულად გამოიყურება და მას უწინარეს ყოვლისა ჩვენს სცენაზე უნდა მიეცეს გასაქანი.

მინდიას როლში ორჯერ გამოვიდა ამ პარტიის ვოკალურ-სცენური სახის პირველი შემქმნელი ზურაბ ანჟაფარიძე, რომელიც რამდენიმე [illegible] ით ადრე უკვე შეიყვარა საარბრიუკენის მაყურებელმა [illegible] შესრულებით [illegible] გამო, [illegible] ლა [illegible] გრამა და მხოლოდ მინდიას [illegible] და, მაგრამ ამჯერადაც მაყურებელი მოხიბლა ხალასი მგზნებარებითა და ლირიკული ინტონაციის გადმოცემის იშვიათად უშუალო, თავისთავადი მანერით. ბოლო წარმოდგენაზე ჩალხიის როლის პირველმა განმასახიერებელმა პეტრე ამირანაშვილმა აუდიტორია განაცვიფრა განცდის მასშტაბებითა და მოუღლელი შემოქმედებითი ენერგიით. მედეა ამირანაშვილმა მზიას პარტია ახალი ელფერით შემოსა. მის სიმღერასა და მოქმედებაშიც ვხედავდით ძლიერი მთიელი ქალიშვილის მკვეთრად წახნაგოვან ინტონირებასა და პლასტიკას.

ოთარ თაქთაქიშვილმა საზოგადოებრიობის საგანგებო ყურადღება მიიქცია არა მარტო როგორც შესანიშნავი ოპერის ავტორმა, არამედ როგორც ჩინებულმა დირიჟორმაც.

საარბრიუკენელთა სიმპათიები მოიპოვა გივი აზმაიფარაშვილმა როგორც ნიჭიერმა საოპერო დირიჟორმა (იგი დირიჟორობდა „მინდიას" და განსაკუთრებული წარმატებით „პიკის ქალს").

საარბრიუკენის თეატრი ინტერნაციონალური ტრადიციებისაა და თავის დასში სისტემატურად იწვევს სხვადასხვა ქვეყნის მომღერლებს, რომლებმაც ქართულ საოპერო წარმოდგენებსაც დაამჩნიეს აქტიური კვალი. არაერთი მათგანი უკვე თავისუფლად გრძნობდა თავს ქართულ ხასიათებში, და მაყურებელთა გულითადი მადლობა და პრესის მოწონებაც დაიმსახურეს. მათ შორის არიან, რა თქმა უნდა, გერმანელი მსახიობები ვოლფგანგ ფასლერი (მალხაზი „დაისში") ჰელმუთ ტრომი („მინდია"), ოსკარ ჰილებრანდტი (კვირეულზე — ჩალხია „მინდიაში", მანამდე „დაისში" უმღერია კიაზოს პარტია), ამერიკელი მომღერალი ელინ კორმანი (კვირეულზე — მზია „მინდიაში", მანამდე მარო „დაისში"), იაპონელი მომღერალი კეიკო იანო („დაისში" — ნანო), ბულგარელი გეორგ კუშევი (ხევისბერი „მინდიაში") და სხვ. (ბულგარელი დუშან პოპოვიჩი ადრე მოვიხსენიე).

„დაისისა" და „მინდიას" წარმატებაში დიდი იყო საარბრიუკენის თეატრის გუნდის როლი, რომელიც მოამზადა ქორმაისტერმა ვერნერ ვილკემ.

თავის დროზე ბევრი დაიწერა „დაისზე", დაიწერა ახლაც. მრავალმა გაზეთმა მიუძღვნა რეცენზია „მინდიას" და ყველგან იგი განხილულია მაღალ კატეგორიებში, ვაჟა-ფშაველას ჰუმანისტური ფილოსოფიის, მითოსის, მუსიკის ეროვნული თავისებურებების შუქზე. საკმაოდ ვრცლად და უტყუარი ალღოთი არის შეფასებული მუსიკალური დრამატურგიის ბუნება, მუსიკის ხატობრივი სფერო, ერთი მხრივ აღინიშნა კომპოზიტორის პოზიციის განსხვავება თანამედროვე მიმდინარეობებისაგან, მეორე მხრივ ჯეროვანი მიეზღო კომპოზიტორის ნაირგვარ ოსტატობას. რა თქმა უნდა, ყველა რეცენზია განიხილავს სპექტაკლს მთლიანად, მუსიკალურ და სცენურ განსახიერებას, ჯეროვანს მიუზღავს ყოველ — თბილისელ თუ საარბრიუკენელ მონაწილეს (საერთოდ, კვირეულის ყოველი ფაქტი საკმაო სისრულით არის ინფორმირებული პრესის მიერ). შეფასებათა მაღალ კრიტერიუმებზე მეტყველებენ სტატიების დასათაურებანიც: „მინდია", როგორც დიდი მუსიკალური მოვლენა ზღაპრიდან, ფილოსოფიიდან და ფოლკლორიდან"... ანდა „საოპერო სიხარული კავკასიიდან".

საარლანდის თეატრმა „დაისი" გახადა ქართული ხელოვნების რეკლამად ფედერაციული რესპუბლიკის გარეთაც. კვირეულის დღეებში საარლანდისათვის ეს უკვე ფრიად პოპულარული ოპერა, ერთხელ იყო წარმოდგენილი. თავდაპირველად განზრახული იყო მისი ჩვენება მთლიანად იმ შემადგენლობით, რომელიც შარშანდელ პრემიერაზე იყო, მაგრამ ნოდარ ანდღულაძე, ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვიდა და მალხაზის შესრულება მოუხდა ვოლფგანგ ფასლერს, რომელიც დიდი წარმატებით გამოვიდა. „შერეულ" ანსამბლში ჰარმონიის დასამყარებლად რეპეტიციაც აღარ იყო. დირიჟორ დ. მირცხულავასაც მთლიანი რეპეტიციის გარეშე მოუხდა უკვე „სხვის" სპექტაკლში შესვლა. როგორც ჩანს, სიფრთხილის გამო, დირიჟორმა ზომაზე მეტად „მშვიდი გეზი" მისცა ოპერას. მშვენივრად უღერდა ხმა ლამარა ჭყონიას (მარო). ჩვეული კეთილშობილური ტემბრითა და თავდაჭერილობით ასრულებდა კიაზოს შოთა კიკნაძე. მშვენიერი, ლაღი და ცქრიალა ნანოა იაპონელი მომღერალი კეიკო იანო, კარგ ანსამბლს ქმნიან ჰელმუთ ტრომი (ტიტო) და იარო დანიელი (ცანგალა). დინჯად დირიჟორობდა დ. მირცხულავა.

ორი ქართული ოპერის წარმოდგენების შუალედში გაიხსნა „მოულოდნელობათა" კიდევ ახალი სფერო: ქართველი მომღერლები ევროპულ რეპერტუარში. რეზონანსიც ვეებერთელა იყო. მასკანის „სოფლის პატიოსნების" საკონცერტო შესრულებაზე გამოვიდნენ ციცანა ტატიშვილი და ზურაბ სოტკილავა. ამ, ერთის მხრივ ქართველი მომღერლების, მეორე მხრივ კი გერმანელთა დასის მომღერლების, გუნდისა და ორკესტრის ფრიად ექსპრესიულ შერკინებაში „შუამავლის" როლს შთაგონებით ასრულებდა შესანიშნავი გერმანელი დირიჟორი ზიგფრიდ კიოლერი და მკაცრი სიდინჯით ჰარმონიას ამყარებდა ამ „ორ ბანაკს" შორის. დიდად მონდომებული და შემართული იყო საარბრიუკენის დასი, მაგრამ მთელი ეს „ორთაბრძოლა" ქართველი მომღერლების დომინირებით წარიმართა. ჩვეული მგზნებარებით მღეროდა ზურაბ სოტკილავა, რომელიც მთელი კვირეულის პროგრამაში დიდ და ნაირგვაროვან, ამასთან მზარდ ფუნქციას ასრულებდა. მაგრამ „სოფლის პატიოსნების" საკონცერტო წარმოდგენა აშკარად აღი-

(დასასრული მე-4 გვ.).

# მარადსახსოვარი დღეები

(დასასრული)

ნიშნა ცისანა ტატიშვილის „ძლევამოსილი მარშით". უძლიერესი ხმა, ტემბრის ბრწყინვალება, კონტრასტების ელფეროვნება თვით უღრმეს პიანომდე, დიდი სუნთქვის „ბელკანტო", ვნებათა მძლავრი აფეთქებანი, — გერმანელთა წინაშე ქართველ მომღერალ ქალს წარმოსახავდა დიდი მასშტაბის არტისტად. როგორც გერმანულმა პრესამ აღნიშნა, ცისანა ტატიშვილმა საარბრიუკენის მაყურებელი „აღფრთოვანების ჭეშმარიტ გრიგალში ჩაითრია".

საოპერო ხელოვნების ქართველ ოსტატთა ინტერნაციონალური მასშტაბები კვლავ გამოვლინდა პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალის" წარმოდგენაზე. ქართველი და გერმანელი ოსტატების თანამშრომლობით ღირსეულად იქნა განსახიერებული რუსული კლასიკური ოპერის ეს გენიალური ქმნილება. ამ სპექტაკლის პრემიერა საარბრიუკენის სცენაზე კვირეულზე რამდენიმე ხნით ადრე შედგა. რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ, რსფსრ სახალხო მხატვარმა იოსებ სუმბათაშვილმა იგი ორიგინალური ინტერპრეტაციით, თანამედროვე მხატვრული ხედვით განახორციელეს. ამ სპექტაკლის შექმნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მისმა მთავარმა მონაწილემ ზურაბ ანჯაფარიძემ, რომელიც გერმანის პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებლად არის აღიარებული მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ კვირეულზე იგი მოულოდნელად გამოეთიშა „პიკის ქალს", რის გამოც ბევრი დააკლდა წარმოდგენას. მაგრამ სპექტაკლის მხატვრული ეფექტი მაინც მაღალი იყო. წარმატება ჰქონდათ ც. ტატიშვილს (ლიზა), შ. კიკნაძეს (ელეცკი), დ. პოპოვიჩს (ტომსკი), კეიკო იანოს (პოლინა), ძალიან კარგად დირიჟორობდა გივი აზმაიფარაშვილი.

როგორც ცნობილია, რუსთაველის თეატრის მსახიობები ყველაზე „შემოწმებულ" მდგომარეობაში, — საკუთარი სპექტაკლით „სამანიშვილის დედინაცვლით" გაემგზავრნენ საარბრიუკენს. მაგრამ ბუნებრივია, რომ ენის გამო ყველაზე ძნელ პირობებშიც ისინი უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა რუსთაველთა სწორედ ამ წარმოდგენამ მოიპოვა დიდი წარმატება ამ რამდენიმე წლის წინათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მაგრამ მაშინ სპექტაკლს თარჯიმანი მიჰყვებოდა კვალდაკვალ. ამჯერად თარჯიმანი არ იყო და ბუნებრივია, რომ მსახიობები ძალიან ღელავდნენ ამის გამო.

მაგრამ საქმე დიდებულად აეწყო. ერთი საღამოსათვის დაინიშნა „სამანიშვილის" ორი წარმოდგენა, ჯერ გერმანელებისა (კვირეულის დღეებზე მცირე ხნით ადრე რომ დაიდგა საარბრიუკენის სახელმწიფო თეატრში რობერტ სტურუას რეჟისორობით), შემდეგ კი ჩვენი. ცოცხალი, მხიარული და უშუალო აღმოჩნდა გერმანელთა წარმოდგენა. რობერტ სტურუამ, რომელიც რუსთაველის თეატრის სპექტაკლის დამდგმელია თემურ ჩხეიძესთან ერთად, გერმანელთა „სამანიშვილი" ძირითადად იგივე კომპოზიციური ხერხებით გადაწყვიტა, მაგრამ, ცხადია, სპეციფიკურ მდგომარეობასაც ანგარიში გაუწია, უფრო სწორხაზოვანი კომედიური სიტუაციები წამოსწია და მთავარი პერსონაჟებისათვისაც კოლორიტული მსახიობები შეარჩია. გერმანელმა მსახიობებმა მახვილგონივრულად, ცოცხალი ნერვით გაითამაშეს მთელი წარმოდგენა და საერთო მოწონება დაიმსახურეს.

და „მეორე სერიაც" დაიწყო: სხვა გზა არ იყო, ჩვენებს თავიდანვე მაყურებლის „შტურმით" უნდა დაეწყოთ. გ. გეგეჭკორმაც თავიდან წამკითხველის ტექსტი გერმანულად წარმოთქვა, ხოლო პლატონის როლში გადასვლისთანავე ქართულ ენაზე გადართო წარმოდგენა... ეფექტურმა ჟესტმა თავიდანვე დაძაბა მაყურებელი. ყველა მონაწილე მოხდენილი ელვარებით შემოუერთდა წარმოდგენას. სათუთი იუმორით, რბილი და „ეშმაკური" ნიუანსებით განსახიერებდა ბუხუტი ზაქარიაძე ბეკინას. მშვენიერი იყო გ. გეგეჭკორი, რომლის პლატონის მხრებზე გადიოდა დავით კლდიაშვილის ტრაგი-კომედიის მწარე ფილოსოფია. რა თქმა უნდა, წარმოდგენის კულმინაცია იყო რამაზ ჩხიკვაძე — კირილე, რომლის სცენებმა, აღსავსემ გონებამახვილობის ფოიერვერკებით, ფათერაკთა უსასრულო „გამოგონებებით", — კიდევ უფრო „გაახელა" ისედაც შემართული სპექტაკლი და მასთან ერთად — მრავალრიცხოვანი მაყურებელიც. ღირსეულ ანსამბლს — იუმორისა და სევდის კოლორიტის ფაქიზი ცვლით, ქმნიდნენ ყველა დანარჩენი მონაწილენი: გიორგი საღარაძე, კ. საკანდელიძე, ლ. ძიგრაშვილი, ე. საყვარელიძე, ა. მახარაძე, გ. თალაკვაძე, ნ. მგალობლიშვილი, ლ. ჩხეიძე, ზ. ბოცვაძე, ს. აბრამაშვილი, დ. უფლისაშვილი. საკუთარი ფერებით ავსებდნენ ერთიმეორეს. დიახ, ეს გახლდათ მშვენიერი ანსამბლი, საგანგებოდ მომართული საქართველოს გარეთ ქართული დრამატული თეატრის ღირსების დასაცავად. გერმანელი მაყურებლები კი მხურვალე რეაქციას ამჟღავნებდნენ არა მარტო აშკარა კომედიურ, არამედ თვით შინაგან საკვანძო მომენტებშიც.

საარლანდის თეატრმა თავის კამერულ სცენაზე კიდევ ერთი ქართული პიესა დადგა, ეს გახლავთ რევაზ ებრალიძის „გზა მზისაკენ", მიმართული ატომის საშინელებათა წინააღმდეგ (ეს პიესა კარგახნის წინათ დაიდგა რუსთაველის თეატრში „ადამიანური ტრაგედიის" სახელწოდებით). თარგმნა იგი ვახტანგ კუპრავამ, პრესა გულთბილად გამოეხმაურა ამ სპექტაკლს, პიესასა და თარგმანს.

„....რა სიხარულითაც შემოგვთავაზეს შესანიშნავი პროგრამა, ისევე მიიღო იგი საარბრიუკენელმა მაყურებელმა. ამ საღამოს არა მარტო ხელოვნებამ არ იცოდა საზღვრები... ტაშისცემამაც სარეკორდო მწვერვალები დაიპყრო. „ბრავოს" სალუტები გრიალებდა სცენის მისამართით. კონცერტის შემდეგ, შუაღამის ჟამს თბილისის რუსთაველის თეატრის მსახიობთა დასმა ქართულ ენაზე კიდევ ერთხელ წარმოადგინა დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" („საარბრიუკერ ცაიტუნგი").

ამ საღამომ მართლაც გვირგვინი დაადგა „განსაცვიფრებელ მოულოდნელობათა მოლოდინს", როგორც გერმანულმა პრესამ დაახასიათა კვირეულის პროცესი. ყველა ძალამ თავი მოიყარა და ძნელი სათქმელია, თუ ვინ ვის სჯობდა. დასკვნითი კონცერტის აშკარა დანაკლისი ის იყო, რომ მას გამოეთიშა ზურაბ ანჯაფარიძე.

დიდი ტემპერამენტით, შინაგანი მხურვალებითა და დრამატიზმით მღეროდა მედეა ამირანაშვილი არიებს პუჩინის „ტურანდოტიდან" და ვერდის „ბედის ძალიდან". უნატიფესი ოსტატობა, წყაროსებრი ანკარა და მჩქეფარე სიმღერა აჩვენა ლამარა ჭყონიამ, რომელიც ყოველ ფრაზას ქარგავდა მეიერბერის „პაჟის არიაში" (ოპერა „ჰუგენოტებიდან") და ვარნეის „ჩიტების ვალსში". ხოლო ცისანა ტატიშვილი თავისი გმირული ამპლიტუდებით ფრიად ხატოვან კონტრასტს ქმნიდა მომღერალ ქალთა ქართულ თაიგულში. მღეროდა იგი ტოსკას არიას, აიდას არია შეასრულა გერმანულ ენაზე, ზ. სოტკილავასთან ერთად იმღერა დუეტი „სოფლის პატიოსნებიდან".

ზურაბ სოტკილავას კვირეულის მანძილზე ყველაზე მეტი დატვირთვა ხვდა. ეს ბრწყინვალე მომღერალი, რომლის მსოფლიო პოპულარობის მერიდიანები დღითიდღე მატულობს, მღეროდა ყველგან — ოფიციალურ თუ არაოფიციალურ კონცერტებზე, შეხვედრების დროს. მგზნებარებას აფრქვევდა კლასიკურ საოპერო არიებში, პოპულარულ ნეაპოლურ სიმღერებში და ყოველგვარი პროგრამის დასასრულს, აუდიტორიას „დააჯახებდა" მეგრულ ხალხურ სიმღერებს, — ზოგან ნატურალური სახით, ზოგან ო. თაქთაქიშვილის მიერ დამუშავებულს. პირდაპირ კოლოსალური იყო ამის ეფექტი და უნდა გენახათ, თუ როგორი ღირსებით ერკინებოდა მეგრული სიმღერა მსოფლიოშემოვლილ კლასიკურ რეპერტუარს. ესეც იყო იმ „მოულოდნელობათა მოლოდინის" ერთ-ერთი მწვერვალი.

კვირეულის ნაირგვარი წახნაგები დასკვნით საღამოს კვლავ ავლენდნენ თავიანთ ელვარებას. სანიმუშო ჰარმონიულობითა და სიდარბაისლით მღეროდა საარლანდში უკვე სახელმოხვეჭილი ანსამბლი „რუსთავი". აკადემიურ გარემოცვაში ღირსეული ადგილი მოიპოვა ხალხური საკრავების ტრიომ.

დასკვნითი საღამოს დამწყები — „დაისის" მეორე აქტის დიდი სახალხო-პატრიოტული სცენა იყო, რომელიც აღმაფრენით ჟღერდა. ჩვეული მიზანსწრაფვით დირიჟორობდა მას დიდიმ მირცხულავა, ხოლო კიაზოს პარტიას კეთილშობილურად მღეროდა შოთა კიკნაძე. ამის საპასუხოდ საარლანდის თეატრის სოლისტებმა, გუნდმა და ორკესტრმა შესანიშნავად აჟღერეს მოცარტის ოპერის „ჯადოსნური ფლეიტის" პირველი მოქმედების დიდი ფინალური სცენა.

საბოლოო საღამოზე, რა თქმა უნდა, გამოვიდა საარლანდში უკვე პოპულარული საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი (აქ პირველი მევიოლინე კ. ვარდელი პირველად უკრავდა იმ უნიკალურ ვიოლინოს, რომელიც ჰერმან ვედეკინდმა აჩუქა საქართველოს კვარტეტს) და მანვე წამოიწყო კონცერტის ორიგინალური ფინალიც: უკრავდა ს. ცინცაძის მიერ დამუშავებულ „სულიკოს", მას სიმღერით შემოუერთდა „რუსთავი", სცენას ემატებოდნენ კვირეულის სხვა მონაწილეებიც და თავდაპირველად კვარტეტის მიერ ინტიმურად წამოწყებული „სულიკო" მასობრივ სიმღერად გადაიზარდა. მაყურებელმაც აიტაცა პოპულარული ქართული ჰანგი (ასევე მოხდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1969 წელს, როცა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „სულიკოს" მღეროდა) და ასეთ სადღესასწაულო ვითარებაში უკვე გაერთიანებული სცენა და დარბაზი შთაგონებული სიმღერით ამთავრებდა ამ დაუვიწყარ, ჭეშმარიტად უმაღლესი კლასის კონცერტს. კონცერტის შემდეგ წარმოდგენილი იქნა „სამანიშვილის დედინაცვალი", რომელიც შუაღამისას დაიწყო და წავიდა საუცხოოდ. გერმანელი მაყურებელიც ისე თბილად აღიქვამდა მას, როგორც თავის კარგ ნაცნობს და ერთსულოვანი ოვაციებით აჯილდოებდა.

კვირეულის რაც მეტი დღე გადიოდა, მით უფრო სერიოზულად განიხილავდა საარლანდის პრესა ქართული კულტურის ეროვნულ თავისებურებათა საკითხებს. აზრთა გაცვლა-გამოცვლის მხურვალე ატმოსფერო იყო შექმნილი წარმოდგენებისა თუ კონცერტების მიმდინარეობის დროსაც. ამ უშუალო მსჯელობებში მარტოოდენ სპეციალისტები როდი მონაწილეობდნენ. პირველ დღეებშივე ისმებოდა საკითხები ქართული მუსიკის თანამედროვე გზებისა და მსოფლიოს მუსიკალური კულტურის უახლოეს მიმდინარეობებთან მისი დამოკიდებულების შესახებ.

ეს კი უდავოა, რომ პრესა უაღრესი პატივისცემით იხსენიებდა ქართული მუსიკის იმ გზებს, რომლებსაც კვირეულის დღეს გაეცნენ, იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი შორს არიან მათი დღევანდელი გზებისაგან.

მთელი შეხვედრები, ურთიერთობა წარიმართა გულწრფელი ურთიერთგაგების, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების რწმენის ნიშნით. მასპინძლებისათვის აშკარა გახდა ძალა საბჭოთა ხალხების მშვიდობისმოყვარეობისა. „ხელოვნებამ საზღვრები არ იცის". ეს იყო დევიზი ჩვენი მასპინძლებისა, მათ შორის საარლანდში ქართული ხელოვნების პროპაგანდის თავკაცის ჰერმან ვედეკინდისა. მაგრამ ამჯერად კი, კვირეულის დღეებში, ვედეკინდს ახალი ლოზუნგი გაუჩნდა და ასეთი აღმოჩენით აღფრთოვანებული, ყველგან გაიძახოდა რუსთაველის აფორიზმს — „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია"!

ანტონ წულუკიძე.

## მშობლიური პეიზაჟები



„კომუნისტის" ფოტოკონკურსზე

გიორგი გოგოხია —

„უშიშარნი"

## სოფიაში, ბულგარულ ენაზე

ბულგარეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაროდნა კულტურამ" ქ. სოფიაში ბულგარულ ენაზე გამოსცა საბჭოთა მწერალთა მოთხრობების კრებული (396 გვ.), რომელშიც შესულია 1973 წელს გამოქვეყნებული მოთხრობები.

კრებულში დაბეჭდილია ვალენტინ კატაევის, ვასილ შუკშინის, გიორგი გულიას, ევგენი ნოსოვის და სხვ. სულ 24 ავტორის თითო მოთხრობა. მათ შორის არის ქართველი მწერლის გივი გოგიჩაიშვილის მოთხრობა „მესამე სართულის მორიგე" (მთარგმნელი ლ. გეროვა).

კრებულის შემდგენლები არიან ლილიანა გეროვა და ელკა გეორგიევა. წინასიტყვაობა, რომელშიც ზოგადად მიმოხილულია კრებულში წარმოდგენილი მოთხრობები, ეკუთვნის ივანე ცვეტკოვს.



СЪВЕТСКИ РАЗКАЗИ'73

Народна култура

## ქართველი ქირურგი სომალში

მოგადიშო. საბჭოთა კავშირი სომალის დემოკრატიულ რესპუბლიკას დიდ დახმარებას უწევს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სისტემის გაუმჯობესების საქმეში. ათობით საბჭოთა ექიმი მუშაობს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა სომალელ კოლეგებს. ასეთი ჰუმანური საქმიანობის მკაფიო მაგალითია საბჭოთა ქირურგის კიმ ვლადიმერის-ძე კაკაბაძის შრომა.

უკვე ორ წელზე მეტია იგი დაუცხრომლად ილვწის სომალის სამხრეთ-დასავლეთში ქალაქ ბაიდოას პოლიკლინიკაში. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი კურსდამთავრებული მრავალი წლის სამედიცინო პრაქტიკის მანძილზე დაგროვილ მთელ თავის ცოდნას ახმარს ადამიანის სიცოცხლის ხსნისათვის ბრძოლას. გულდაჯერებულობა და საოცარი კაცთმოყვარეობა ხელს უწყობენ კ. კაკაბაძეს გაიმარჯვოს სიკვდილთან ორთაბრძოლაში ყველაზე რთული და პასუხსაგები ოპერაციების დროს.

ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები დახმარებისათვის საბჭოთა სპეციალისტს მიმართავენ. კაკაბაძის მისაღებში შეხვდებით შორეული სოფლის მომთაბარესა და ქარხნის მუშას, მოსამსახურესა და სტუდენტს, ქალსა და ბავშვს. სომალიში ორი წლის მუშაობის მანძილზე კაკაბაძემ მიიღო 35 ათასზე მეტი ავადმყოფი, გააკეთა მრავალი რთული ქირურგიული ოპერაცია.

საბჭოთა ექიმის კეთილშობილურ შრომას დიდად აფასებს სომალის საზოგადოებრიობა. ამას მოწმობს პაციენტთა და სომალის მთავრობის მრავალი მადლობა. (საქდესის კორ.).

### გვეკითხებიან, ვუპასუხებთ!

## მხოლოდ მძღოლია დამნაშავე?!

პატივცემულო რედაქციავ! გაზეთ „კომუნისტის" 14 აგვისტოს ნომერში წავიკითხე ა. კობახიძის წერილი —„ავტოავარიები", რომელშიც ავტორი ანალიზს უკეთებს ჩვენს დედაქალაქში მიმდინარე წლის ექვს თვეში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევებს. მე მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი ვარ და ერთი რამ ძალზე მაკვირვებს. 1952 წლიდან ვცხოვრობ თბილისში და კარგად მახსოვს, როცა ფეხით მოსიარულეებს, რომლებიც ქუჩაში მოძრაობის წესებს არღვევდნენ, სასტიკად სჯიდნენ, აჯარიმებდნენ. მაშინ ტრანსპორტიც ცოტა იყო. ახლა კი ქუჩები და გზაჯვარედინები ავტომანქანებს ვერ იტევს და გაკვირვებას იწვევს ის, რომ თუ ფეხით მოსიარულე გადავა შუა ქუჩაზე ან მოედანზე, სადაც გადასასვლელი არ არის, იშვიათად, რომ წესრიგის დამცველმა ყურადღება მიაქციოს. საჭიროა წესრიგის დამრღვევ ფეხით მოსიარულეთა მიმართ ადმინისტრაციული ზომების მიღება,

ა. ბაზნიძე,

ს. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ოსტატი.

გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტმა ეს წერილი გააცნო სტატიის ავტორს—ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილეს, მილიციის პოდპოლკოვნიკ ა. კობახიძეს. აი რა თქვა მან:

—თბილისში ამჟამად ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობის პრობლემა მთელი სიმწვავით დგას. როგორც ჩანს უნდა გამოიძებნოს ზემოქმედების ახალი, უფრო ეფექტური ფორმა, რაც საშუალებას მოგვცემს მინიმუმამდე აღვკვეთოთ ფეხით მოსიარულეთა მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების უხეში დარღვევები.

თბილისში მიმდინარე წლის ექვს თვეში გამოვლინებული და დასჯილია 741 ფეხით მოსიარულე, რომლებმაც დაარღვიეს ქუჩაში მოძრაობის წესები. დედაქალაქში ფეხით მოსიარულეთა ქუჩაში მოძრაობის წესების უხეშმა დარღვევამ სამოცდასამი ავტოავარია გამოიწვია, რომლებიც მსხვერპლით დამთავრდა.

სახელმწიფო უზარმაზარ თანხას ხარჯავს გადასასვლელი გვირაბების, ქუჩაზე გადასასვლელების გასაკეთებლად, მაგრამ ზოგიერთი მოქალაქე, თითქოს განგებ, სადაც გვირაბია ზედ მის თავზე გადადის, რითაც საფრთხეში აგდებს როგორც საკუთარ სიცოცხლეს, ისე სხვისასაც.

ფეხით მოსიარულეების მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ ქუჩაში მოძრაობის წესებს, ადმინისტრაციული ზომების მიღება ევალება მილიციის ყველა თანამშრომელს და უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებს. თუ კი ფეხით მოსიარულემ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, და მილიციის მუშაკმა არ მიიღო საჭირო ზომები, ამ შემთხვევაში ასეთი თანამშრომლის მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზემოქმედება.

## გამოთვლითი ცენტრი ჭიათურაში

ჭიათურა. (საქ. კორ. პ. ჭიოკაძე). აქ მუშაობა დაიწყო მარგანეცის ტრესტის საინფორმაციო-გამოთვლითმა ცენტრმა. იგი დააპროექტეს და ადგილობრივ სპეციალისტებთან თანამეგობრობით დაამონტაჟეს რუსთავის „ავტომატმრეწველის" ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა.

ელექტრონულ - გამომთვლელი მანქანა „მინსკ-32" და საანგარიშო-პერფორაციული ტექნიკა საშუალებას იძლევა ცენტრალიზებული წესით, მეტად სწრაფად და ზუსტად დაიანგარიშონ მუშამოსამსახურეთა ხელფასები, ძირითადი და დამხმარე მასალების, ელექტროენერგიის ხარჯი. გამოთვლითი ცენტრი ემსახურება როგორც ცალკეულ მაღაროებსა და მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებს, ისე მთლიანად მარგანეცის ტრესტს.

## თერჯოლური ჩაი — გერმანიაში

თერჯოლა. (საქ. კორ.). გამართულად და რენტაბელურად მუშაობს თერჯოლის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი. მისი პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით.

თერჯოლური 20 ტონა ჩაი ახლახან გაიგზავნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

## თოთხმეტ ქვეყანაში

ოდესის ნავსადგურიდან ხმელთაშუა ზღვისკენ კურსი აიღო საბჭოთა თბომავალმა „ტარას შევჩენკომ", რომელიც ემსახურება დასავლეთ გერმანულ ფირმა „ნეკერმანს". თბომავალზე იმყოფება საბჭოთა ხელოვნების მუშაკთა ჯგუფი, რომელთა შორის არიან საქართველოს ფილარმონიის მსახიობები— რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები, მომღერალი ვენერა მაისურაძე და კონცერტმეისტერი მედეა გონგლიაშვილი.

„ტარას შევჩენკოს" გეზი თოთხმეტი სახელმწიფოსკენ უჭირავს, იგი შევა იტალიის, ესპანეთის, მაროკოს, ალჟირის, ტუნისის, ეგვიპტის, თურქეთის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების საპორტო ქალაქებში.

## მოკლედ...

გვატყობინებს საკუთარი კორესპონდენტი

☐ ტყიბული. სოფელ მუხურის არაბიძეების უბნის მცხოვრებლებმა ერთობლივი ძალებით სასმელი წყალი გამოიყვანეს მთაშავიდან. წყალსადენის მაგისტრალის სიგრძე ორი კილომეტრია. კოლმეურნეთა ოჯახებმა უკვე მიიღეს მთის ანკარა სასმელი წყალი.

☐ ამბროლაური. სოფელ ჭრებალოში მცხოვრებმა ტ. ცხვირავაშვილმა ამ დღეებში შემნახველ სალაროში წარადგინა მიმდინარე წლის ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთი № 381, სერია 17840, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ზაპოროჟეცი".

ვ. ცირეკიძე.

## შეხვედრა სანატორიუმ „ფაზისში"

ონი. (საქ. კორ.). ამას წინათ კურორტ უწერის დირექციამ შეხვედრა მოუწყო დიდი სამამულო ომის იმ მონაწილეებს, რომლებიც სანატორიუმ „ფაზისში" ისვენებენ. მოხსენება თემაზე — „ქართველები დიდ სამამულო ომში" — წაიკითხა სამამულო ომის ვეტერანმა ა. შეწირულმა. იმ ქარცეცხლიან დღეთა შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ ლეგენდარული კოვპაკის პარტიზანული რაზმის მებრძოლები ი. რეხვიაშვილი, სამამულო ომის მონაწილე რ. გოჩაშვილი და სხვ.

შეხვედრის დასასრულს კურორტის დირექციამ დიდი სამამულო ომის ბევრ მონაწილეს საჩუქრად გადასცა წიგნები სამახსოვრო წარწერით. დასასრულს ვეტერანთა პატივსაცემად გაიმართა კონცერტი.

## პოეტის ბიუსტი მწვერვალზე

სოხუმი. (საქ. კორ.). აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრის ტურისტული სექციის წევრებმა გადაწყვიტეს კავკასიონის მთის ერთ-ერთ მწვერვალზე აეტანათ და დაედგათ დიმიტრი გულიას ბიუსტი. ბიუსტი უსასყიდლოდ გააკეთა სკულპტორმა გივი რუხაძემ.

სოხუმელ ტურისტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. მიქამავიძე. ბზიფის ხეობით უკან მოიტოვეს რიწის ტბის თვალწარმტაცი ადგილები და აუადჰარის ნაძვნარები. ალპურ ზონაში კარვები გაშალეს და ღამეც იქ გაათიეს. დილაადრიან კი აღმართზე მიაბიჯებდნენ ტურისტები მ. ჯღარკავა, ზ. კოჩარიანი, ა. ბრეჟნევი, ა. მუკბა, მ. კვარაცხელია, მ. ჩალიგავა, ა. თარბა, ც. სხულუხია, მ. გაბელია, ჯ. ჯიკირბა, ი. ცანავა, ა. მუკბა.

აი მწვერვალი ანჩხოც გამოჩნდა. შერჩეულ ადგილზე მოლაშქრეებმა დადგეს ბიუსტი, დააცემენტეს და სათანადო წარწერა გაუკეთეს.

## მაყურებელმა ნახა პრემიერა

ქ. მახარაძის ალ. წუწუნავას სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა რ. თაბუკაშვილის პიესა „რაიკომის მდივანი".

პიესა დადგა რეჟისორმა ვ. რცხილაძემ, მხატვრულად გააფორმა შ. დარჩიამ. როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. თურმანიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. არობელიძე, გ. მდინარაძე, მსახიობები გ. ახმეტელი, რ. სარიშვილი, ო. ქუტალაძე, შ. ხურციძე, გ. კილურაძე, შ. გოგიტიძე, ნ. ბასილაშვილი, ი. ჯიჯეიშვილი...

## საქართველოს მთა-ბარში

კალათბურთი

## ტურნე ამერიკაში

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელმაც ახლახან გაიმარჯვა კოლუმბიაში ერების თასის გათამაშებაში, ტურნეს ატარებს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩვენი კალათბურთელები უკვე ორჯერ შეხვდნენ ქვეყნის ნაკრებს, რომელიც სტუდენტთა კალათბურთის „ვარსკვლავებისაგან" შედგება (ამ გუნდში თამაშობს „მოსკოვის უნივერსიადა-73"-ის საუკეთესო მოთამაშე დევით ტომსონი).

პირველი მატჩი ლოს-ანჯელესში მოიგეს მასპინძლებმა — 104:77 (52:43), მეორე კი — სიეტლში ჩვენმა გუნდმა—79:70 (36:33). სტუმრებმა შეძლეს თამაშიდან თითქმის სრულად გამოეთიშათ დ. ტომსონი, რომელმაც ამ დღეს თავის გუნდს მოუტანა... 3 ქულა. სამაგიეროდ თავი ისახელა ჩვენი ნაკრების ლიდერმა, კიეველმა ალექსანდრე სალნიკოვმა. მან გამარჯვებულებს 36 ქულა შესძინა.

## ფეხბურთის მოედნებზე

გუშინ მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა ნაკრების ფეხბურთელთა საკონტროლო მატჩი ორ შემადგენლობას შორის. თამაშის მე-7 წუთზე დეგტიარიოვმა (მე-2 გუნდი) გახსნა ანგარიში, მაგრამ ოლშანსკიმ ჯერ აღადგინა წონასწორობა, შემდეგ კი პირველი გუნდი წინ გაიყვანა — 2:1. მიუხედავად ამისა, მეტოქემ შეძლო ორი ბურთის გატანა, თავისში კი ერთი მიიღო და მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

მოსკოვის „დინამო", რომელიც ტურნეს ატარებს ბულგარეთში, პირველ მატჩში შეხვდა ქვეყნის ნაკრებსა და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა პეტრუშინმა.

ლენინგრადის „ზენიტმა" ბოლონიაში (იტალია) საერთაშორისო ტურნირზე დაამარცხა ინგლისის კლუბი „ფულჰემი" — 3:0.

### გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 7 სექტემბრისათვის

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" კ. | 10 | 8 | 2 | 32-12 | 28 |
| „ზენიტი" | 6 | 13 | 2 | 25-25 | 25 |
| „ტორპედო" | 9 | 6 | 5 | 26-18 | 24 |
| „ჩერნომორ." | 8 | 8 | 4 | 29-22 | 24 |
| „სპარტაკი" | 8 | 7 | 5 | 21-18 | 23 |
| „დინამო" მ. | 7 | 8 | 5 | 27-21 | 22 |
| „შახტიორი" | 6 | 10 | 5 | 23-22 | 22 |
| „დნეპრი" | 7 | 7 | 6 | 18-22 | 21 |
| „პახტაკორი" | 6 | 7 | 7 | 31-32 | 19 |
| „არარატი" | 6 | 6 | 7 | 20-15 | 18 |
| „კაირატი" | 5 | 8 | 6 | 28-27 | 18 |
| ცსკა | 5 | 7 | 8 | 22-26 | 17 |
| „დინამო" თბ. | 4 | 9 | 7 | 16-26 | 17 |
| „ზარია" | 4 | 7 | 9 | 22-30 | 15 |
| „კარპატი" | 2 | 9 | 7 | 13-20 | 13 |
| „ნისტრუ" | 3 | 6 | 11 | 25-39 | 12 |

## რამდენიმე სტრიქონით

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატის (ფორესტ-ჰილსი) მეოთხედფინალში თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა წააგო უიმბლდონის ჩემპიონთან, ამერიკელ ჯიმ კონორსთან — 6:3, 3:6, 4:6, 1:6.

მძლეოსნობა. რომში „სტადიო ოლიმპიკოს" სტადიონზე საბჭოთა სპორტსმენებმა გუშინ კიდევ ორი ოქროს მედალი მოიპოვეს: მოსკოველმა ფაინა მელნიკმა — ბადროს ტყორცნაში (69 მეტრი) და ლენინგრადელმა ვლადიმერ კიშკუნმა — ჭოკით ხტომაში — 5 მეტრი და 35 სანტიმეტრი.

ტანვარჯიში. გულმოდგინედ ემზადებიან მსოფლიოს ჩემპიონატისათვის, რომელიც ოქტომბერში გაიმართება ვარნაში, უძლიერესი საბჭოთა ოსტატები ლიუდმილა ტურიშჩევა, ოლღა კორბუტი, ნიკოლოზ ანდრიანოვი, ვიქტორ კლიმენკო, ნელი კიმი, ელვირა საადი, ნინო დრონოვა, რუსუდან სიხარულიძე, პაატა შამუგია და სხვ.

ცურვა. ვენის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ 19 ქვეყნის 80 სპორტსმენმა მაგდებურგში (გდრ) სტარტი აიღო რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის მე-8 პირველობაში. წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც მოიგეს შეჯიბრების სახეობათა უმრავლესობა და 213 ქულით გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაში.

## ტელევიზია

### 7 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30— ფერადი ტელევიზია. „თოჯინების მაღაზიაში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო სპექტაკლი „დომბი და მისი შვილი" (III ნაწილი), 12.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 13.20 — „თქვენთვის, მშობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.50 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 14.20 — დოკუმენტური ფილმი — „რასულ გამზატოვი", 14.50 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 15.20 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.50 — მოსწავლეთათვის „კომკავშირული ცხოვრება", 16.25 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.05 — ფერადი ტელევიზია. „ცხოველთა სამყაროში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.05 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო ფილმი „საბჭოთა ქვეყნის ბავშვები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „კანონიერების სადარაჯოზე", 19.15 — ფერადი ტელევიზია. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ორმოცი ძმადნაფიცი ქალაქი", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30— მხატვრული ფილმი „ნაპირები", 23.40 — ფერადი ტელევიზია. სპორტული პროგრამა (გადმოცემა შვეიცარიიდან და იტალიიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი „მეშახტეები", 19.00 — „ცირკის მოყვარულთათვის", 19.40 — „თბილისი და თბილისელები", 20.10 — დოკუმენტური ფილმი „ქალაქი მიკროფონთან", 20.40 — მხატვრული ფილმი „კიდევ ერთხელ სიყვარულზე".

[illegible]

## რადიო

### 8 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის" საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოაფიშა", 12.15 — ო. თევდორაძე. ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 13.00 —მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის, 14.00—რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", 14.30 — ა. ადანი. ნაწყვეტები ბალეტიდან „ჟიზელი", 14.45 — ა. კარალიიჩევი „განთიადის წინ". მოთხრობა, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი". მოძმე საბჭოთა აზერბაიჯანის და სომხეთის რადიომსმენელთათვის, 15.30 — საუბარი „მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში", 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები", 17.15 — მოსწავლეთათვის. ორი რადიოდადგმა: „ჩხიკვთა ქორწილი" და „ტყის კომედია", 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 19.30 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „ხუთწლედის მოწინავენი", 20.35 — სცენები სპექტაკლებიდან, 21.30 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი
380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 93-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-24, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443
უე 02813
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14